პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 26 მარტი, 1952 წ. № 78 (9238). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

სოციალისტური შეჯიბრების დროშით — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე — მიუხედავად დაბრკოლებებისა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — უკეთესად ვუხელმძღვანელოთ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს (მე-2 გვერდი).
საავტომობილო ქარხნის საამქროებში (მე-2 გვერდი).
სტალინური პრემიის ლაურეატები — სახელოვანი ექიმი (მე-2 გვერდი).
განვავითაროთ სოფლის ინტელიგენციის აქტივობა — „პრავდის" 25-III მოწინავე (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
დიდი გერმანელი კომპოზიტორი (მე-3 გვერდი).
გ. რობაქიძე — მსუბუქი მრეწველობა ახალი ამოცანების წინაშე (მე-3 გვერდი).
ამერიკელ აგრესორთა საზიზღარი ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მძლავრი აღმავლობის გზით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით სასახელოდ შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი და გასული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა. 1950 წელთან შედარებით მარტო შარშან მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდამ 16 პროცენტი შეადგინა და 1940 წლის დონეს ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა. ულრესად დიდია ჩვენი სამშობლოს წარმატებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კაპიტალურ და საბინაო მშენებლობაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში, ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვის განმტკიცებაში.

საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ ამ გრანდიოზულ წარმატებებში გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მოიცავს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს.

**„ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში არის ის, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას თვლიდნენ წინათ, ხდის ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ".**

სოციალისტური შეჯიბრების დამახასიათებელი თვისებები მკაფიოდ იჩენს თავს აგრეთვე ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებით. ჯერ კიდევ ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და კოლმეურნეები, მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საერთო წარმატების მოპოვების უზრუნველყოფისათვის ფართოდ აჩაღებდნენ შეჯიბრებას, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, ენერგიის დაუზოგავად იბრძოდნენ სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ძალისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

ხალხთა სტალინური მეგობრობა, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა ომისშემდგომ წლებში. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედისა და გასული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს მეშახტეებმა და მაღაროელებმა, მეტალურგებმა და მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა და მრეწველობის სხვა დარგების მუშაკებმა, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები წლების მანძილზე სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებთან. ცალკეულ სახელმოხვეჭილ სტახანოველებს და სტახანოვური ბრიგადების ხელმძღვანელებს ნოვატორული მუშაობის ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით მიწერ-მოწერა აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოსა და სხვა სამრეწველო ქალაქების სტახანოველებთან და სტახანოვური ბრიგადების ხელმძღვანელებთან.

მიმდინარე წელს ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას განაგრძობენ ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები, ტყიბულელი და დონბასელი მეშახტეები, ზესტაფონელი და ზაპოროჟიელი მეტალურგები, თბილისელი დაზგათმშენებლები და ერევნელი მანქანათმშენებლები, ქუთაისელი, ლენინაკანელი და კიროვაბადელი ფეიქრები. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღა ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივებთან, ბათუმელმა რკინიგზელებმა ბაქოელ რკინიგზელებთან. ქართველი კოლმეურნეები წარმატებით ეჯიბრებიან უკრაინისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეებს.

ხალხთა სტალინური მეგობრობის საფუძველზე გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა ფრიად პასუხსაგები ვალდებულებანი იკისრეს. საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულება, მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება, თვითღირებულების შემდგომი შემცირება, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალური გადიდება, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია, დაზგა-დანადგარებისა და მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენება—აი ის პირობები, რომელთა განხორციელებისათვის იბრძვიან რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის. ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლითონდამამუშავებელ საწარმოებში ლითონის ჩქაროსნული დამუშავების ფართოდ დანერგვას, მეტალურგიულ ქარხნებში—ჩქაროსნულ დნობას და ღუმელების წარმადობის გადიდებას, ქვანახშირის შახტებში — ციკლური გრაფიკით მუშაობას, მაღაროებში — შრომატევად სამუშაოთა შემდგომ მექანიზაციას, საფეიქრო ფაბრიკებში—მოწინავე ნოვატორთა მუშაობის მეთოდების ყველა ფეიქრისათვის გადაცემას. საწარმოო კულტურისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, სამუშაო ადგილის საფუძვლიანი მომზადება, დაზგა-დანადგარების მიმდინარე და გამაფრთხილებელი რემონტის დროულად ჩატარება დიდად შეუწყობს ხელს თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებას და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საწარმოს თვითეულ მუშას, ინჟინერტექნიკოსსა და მოსამსახურეს გულდასმით გავაცნოთ მოძმე რესპუბლიკების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, საწარმოო თათბირებზე დავამუშაოთ მათი განხორციელებისათვის ბრძოლის საშუალებანი. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების მოვალეობაა ყოველგვარი პირობები შეუქმნან მუშებს ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მუშათა საწარმოო აქტივობას, სისტემატურად შეაჯამონ შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები, გამოავლინონ ამა თუ იმ მუშის, ბრიგადის, ცვლისა თუ საამქროს ჩამორჩენის მიზეზები და იბრძოლონ მათი გამოსწორებისათვის.

საერთო საქარხნო შეჯიბრებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცალკეული სტახანოველების, ბრიგადების, ცვლებისა და საამქროების ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებას. სერიოზული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შეჯიბრებულ საწარმოთა შორის ურთიერთკავშირის გაფართოებას, ყოველ კვარტალში შეჯიბრების შედეგების ურთიერთისათვის გაცნობას.

ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის დიდი ხანია ტრადიციად გადაიქცა სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ ამ დღესასწაულს. ამ მიზნით ისინი ფართოდ აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას. საწარმოთა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა თვითეულ ფაბრიკასა და ქარხანაში, შახტსა და მაღაროში, მშენებლობებზე, ტრანსპორტსა და საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ გააჩაღონ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, იბრძოლონ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის.

## ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა**, 24 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ამ დღეებში გამომცემლობა „სვობოდამ" გამოუშვა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულის მესამე გამოცემა ჩეხურ ენაზე. ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემა დაიწყო 1950 წელს, და ჩეხურ ენაზე სამი გამოცემის საერთო ტირაჟმა 67 ათას ცალს გადააჭარბა. პირველ ტომში შედის ლენინის გენიალური ნაწარმოებნი: „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?"; „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან"; „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში"; „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". მეორე ტომში შედის ნაწარმოებნი — „სახელმწიფო და რევოლუცია"; „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" და სხვ.

## საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

### იბრძვიან საამაყო მაჩვენებლებისათვის

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის აღსანიშნავად ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო-სავაგონო დეპოს კოლექტივი ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა 4 თვის გეგმა შეასრულოს 103 პროცენტით, დაზოგილი საშენი მასალით შეაკეთოს ორი სამგზავრო ვაგონი, ყველა სახალხო მატარებლების შემადგენლობა დაამუშაოს და გაუშვას „ფრიადზე".

ასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი მონაწილეობს შეჯიბრებაში, 15-ზე მეტი სხვადასხვა პროფესიის ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მუშაობაში სტალინური პრემიის ლაურეატების ტ. ქანდაროვასა და ო. აგაფონოვას მეთოდების ფართოდ დანერგვით მრავალი ბრიგადა და სტახანოველი დაწინაურდა.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელა თავი შიგამოწყობილობის გ. მუჩაიძის ზეინკალთა ბრიგადამ, რომელიც დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს. მაღალ წარმატებებს აღწევს აგრეთვე კომუნისტ ა. ვარნაზოვის მღებავთა ბრიგადა, რომლის საწარმოო მაჩვენებელი 200-250 პროცენტს აღწევს. ამასთანავე ამ ბრიგადამ თებერვალში 45 კილოგრამი ძვირფასი საღებავი მასალა დაზოგა.

საპირველმაისო შეჯიბრებაში დაწინაურდა და თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა კომუნისტ ს. მარტიროსოვის ცვლის საოსტატომ. ვაგონების გამსინჯველები ი. კოჭლაშვილი, ს. ჯარიაშვილი და ზეინკალი ა. ჩახუაშვილი წარმატებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

### მძიმეწონიანი მატარებლების ტარების ოსტატები

**ხაშური**. (კომ. კორ.). საელმავლო დეპოში მძიმეწონიანი მატარებლების ტარების მრავალი ოსტატია. იანვარ-თებერვალში ლუნინელმა მეელმავლეებმა რკინიგზის ხაშურ-ზესტაფონის უბანზე ათობით მძიმეწონიანი მატარებელი გაატარეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს.

წარმატებით დაჰყავთ მძიმეწონიანი მატარებლები ლუნინელ მემანქანეებს მ. ტყეშელაშვილს, ნ. თუთისანს, ნ. დერევიანჩენკოს, ა. ბარნოვსკის, გ. აბაიაძეს და დ. ბაკურაძეს, რომელთა პირად ანგარიშზე ათასობით ტონა გეგმის გადამეტებით გადაზიდული ტვირთი ირიცხება.

მეელმავლეთა კარგი მუშაობის შედეგად სატვირთო მატარებლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმების შესრულება იანვარ-თებერვალში 105,2 პროცენტს უდრის. ამავე პერიოდში დაზოგილია 700 ათასამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ხაშურელი მეელმავლეები მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდებიან. ისინი ფართოდ აჩაღებენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას და იმისათვის იბრძვიან, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სურამის უღელტეხილზე ელმავლის პირველი გავლის 20 წლისთავს, რაც მიმდინარე წლის 29 აგვისტოს აღინიშნება.

### 20 მილიონი პაპიროსი გეგმის გადამეტებით

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა თებერვლის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა და მრავალი მილიონი ცალი ზეგეგმითი პაპიროსი და სიგარეტი გამოუშვა. მარტის განვლილ დღეებში ფაბრიკაში აითვისეს ახალი სიგარეტი „ნოვიე", რომელიც „პრიმასაგან" იმით განსხვავდება, რომ უფრო მოკლე და იაფია. ამ სიგარეტის გამოშვებამ მოითხოვა პაპიროსის დამტენი და ჩამწყობი მანქანების ახლებურად გაწყობა, რაც წარმატებით შეასრულეს მოწინავე მექანიკოსებმა მ. ჯულაშვილმა და გ. ლევაშოვმა.

ამჟამად ფაბრიკაში გაჩაღებულია საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ 1 მაისამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, 2,4 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და 1,5 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

სოციალისტური შეჯიბრების მთავარ ამოცანად დასახულია ნედლეულის კომპლექსური ეკონომია და თვითეული საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულება. ამ მხრივ საუკეთესო შედეგებს აღწევენ საროტაციო საამქროში მბეჭდავი ს. ქებაძე და ი. მზევაშვილი, თამბაქოს საამქროში თამბაქოს გამწეწავების ბრიგადა ე. საღარაძის ხელმძღვანელობით, საპილზე საამქროში ე. საღირაშვილი, მ. პოვაროვა, რ. სიმონიანი, დამტენ საამქროში ლ. ზარიძე, ნ. სალამახია, კ. ნიკოლენკო, ჩამწყობ საამქროში ნ. გოგიტაური, მექანიკოს-მარეგულირებელი გ. კანდელაკი და სხვები, რომლებიც სტახანოვურ ვახტზე დგანან და ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

### მშენებლობა კოლმეურნეობებში

**ლანჩხუთი**. (საკ. კორ.). უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების მშენებლობა. უკვე აგებულია 55 კაპიტალური სადგომი 5.152 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. კოლმეურნეობებში აშენებულია აგრეთვე 11 ბინა 227 სული ღორისათვის და 12 საფრინველე, რომლებიც 8.500 ფრთა ფრინველს იტევს.

პირუტყვის სადგომების მშენებლობაში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მამათის ბერიას, ქვემო აკეთის კაგანოვიჩის და ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

### სანიმუშო მატარებელი თბილისი-ქუთაისი

გუშინ, 25 მარტს, თბილისიდან ქუთაისისაკენ პირველ რეისში გავიდა მთლიანლითონის გაუმჯობესებული კონსტრუქციის ვაგონებისაგან შემდგარი პირველი სანიმუშო მატარებელი, რომელიც სისტემატურად იმოძრავებს თბილის-ქუთაისს შორის.

მატარებლის შემადგენლობაში 7 მაგარი და ერთი რბილი ვაგონია. ვაგონების შიგნითა გაფორმება სანიმუშოა, საჯდომი და საწოლი ადგილები მოხერხებულად არის მოწყობილი და გათვალისწინებულია ყველა ის საჭიროება, რაც შესაძლებელია მგზავრს ექნეს მატარებელში ყოფნისას. ვაგონებში მოწყობილია სპეციალური ვენტილაცია, რაც ზაფხულობით გამოყენებული იქნება ვაგონში ჰაერის გასაგრილებლად, მოწყობილია ჩვეულებრივი ელექტროსინათლისა და დღის სინათლის სანათურები, ყოველ საწოლ ადგილთან მოწყობილია მგზავრის ინდივიდუალური ნივთების შესანახავი კარადა და სხვ.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო განყოფილებამ მატარებლის მომსახურე პერსონალი სახელმოხვეჭილი მოწინავე რკინიგზელებისაგან შეარჩია. მატარებლის უფროსებად დანიშნული არიან ვ. ცქიფურიშვილი და ნ. კეკელია, გამცილებლებად — დ. შეყელაშვილი, ვ. კარკუსოვი, ა. ჩხეიძე, ვ. გულივერდაშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი და სხვები.

მატარებლის პირველი რეისის წინ მათ იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები — მატარებლის ურემონტოდ გარბენა 300.000 კილომეტრზე, მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა და მგზავრთათვის სანიმუშო მომსახურების გაწევა.

### ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

## მიუხედავად დაბრკოლებებისა

მშენებლებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს: მარტის მესამე დეკადა, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, აღნიშნონ თბილისისაკენ წყლის გამოშვებით, ამით ბულაჩაურმშენის პირველი რიგის სამუშაოთა დასამთავრებლად გაწეული მრავალი წლის შრომა გამარჯვებით დააგვირგვინონ, გაამზადონ მილსადენი ექსპლოატაციის მუშაკებისათვის ჩასაბარებლად და შეუდგნენ მშენებლობის მეორე რიგის სამუშაოებს.

ბულაჩაურელთა ეს დაპირება იოლი შესასრულებელი როდი იყო. ზამთრის პირობებში ღია სამუშაოთა წარმოებას რელიეფის ისეთ ვითარებაში, როგორშიც ბულაჩაურის მილსადენი მდებარეობს, ათასგვარი შეფერხება ელობება. თოვლი, ტალახი, ყინვა და ქარი აძნელებდა ტრანსპორტის მუშაობას, მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებას, ბეტონის ჩასხმას, მიწის სამუშაოთა დამთავრებას.

სათავის უბანზე სამიჯნო კამერის შენობა ყველაზე ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობაა. დიდი ხანია მშენებლებმა დაამთავრეს მისი აგება, შიგა კედლები თეთრი ქართული მარმარილოთი მოაპირკეთეს, ხოლო გარეთა კედლები ბოლნისის ოქროსფერი ქვით უნდა მოეპირკეთებინათ, მაგრამ ამინდმა არ მისცათ ამის საშუალება. შენობის გარეთა კედლების მოპირკეთება მშენებლებმა ამიტომ გადადეს და ახლა, წყლის გაშვების ამ წინადღეებში, ეს სამუშაო შესასრულებელია.

რკინაბეტონის დაბალწნევიან მილსადენს ტრასის საგრძნობი მანძილი უკავია. მთელ ამ მანძილზე გათხრილ ღრმა ტრანშეაში მილები ისევ შიშვლად აწყვია, მიზანშეწონილი არ არის, რომ მილსადენს მიწა დააყარონ, ტრანშეა დახურონ, რადგან ტემპერატურული ვითარება და მთელი რიგი სხვა პირობები ამას ხელს არ უწყობენ. მილსადენში შემოსულ ბულაჩაურის წყალს გარკვეული ტემპერატურა აქვს. მილსადენს მიწას დააყრიან და ტრანშეას დახურავენ მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურაც წყლის ტემპერატურის თანაბარი იქნება, ამით თავიდან იქნება აცილებული მილსადენის მუშაობისას მკვეთრი ტემპერატურული ცვალებადობა, რაც ზოგჯერ მილის გაბზარვას იწვევს. ეს სამუშაოც ახლა აქვთ შესასრულებელი მშენებლებს.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სათავის ნაგებობათა უბნის დათვალიერება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამიჯნო კამერის შენობის ფასადის მოპირკეთება, შენობის შიგნით ელექტროგანათების მოწყობა, ქლორატორების გამართვა და მახლობელი ტერიტორიის გამწვანება.

სამიჯნო კამერიდან ტრასზე მდებარე პირველ დიდ გვირაბამდე ყველა დარჩენილ სამუშაოთა შესრულება სულ უახლოესი დღეების საქმეა. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ამ გვირაბის ფსკერის დაბათქაშება, ეგრეთწოდებული ვანტუს-ჭების ბეტონით გადახურვა, რკინაბეტონის მილსადენზე ბოლო კამერის გამზადება. ამ სამუშაოთა შესრულებას ყველა იმ დაბრკოლების ვითარებაში, რაც მშენებლებს ელობებათ, სულ ცოტა დრო დასჭირდება.

ბულაჩაურმშენის პირველი რიგის სამუშაოთა შესრულებაში განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ რკინაბეტონის დაბალწნევიანი მილსადენის მშენებლები სამუშაოთა მწარმოებლის შალვა მელიწკაურის ხელმძღვანელობით. სწრაფი, მაღალხარისხოვანი მუშაობით გამოირჩევიან ალექსი ბულაურის, დავით ბაგაშვილის და პეტრე ალალოვის ბრიგადები, ხოლო ამ ბრიგადებში — გიორგი ლილაზიშვილი, დავით გურგენაშვილი, იასონ იმერლიშვილი, საბა ლაზაშვილი, ვალერიან ჯანგირაშვილი, ივანე მოძმანაშვილი, გიორგი ლაფანაშვილი, ვასილ აბრამაშვილი, იოსებ ჯანიკაშვილი და გიორგი ნაზღაიძე.

ტრასის დანარჩენ ნაწილზე წყლის გაშვებისათვის მილსადენი სავსებით მზად არის.

* * *

ახალგაზრდა ინჟინრები ბიძინა აბულაძე და ბორის კოდუა ყველაზე პოპულარული ადამიანები არიან ახლა ბულაჩაურში. აბულაძეზე დამოკიდებულია წყლის დანიშნული ვადისათვის გამოშვება, ე. ი. ყველა შემორჩენილ წვრილმან სამუშაოთა სწრაფად შესრულება, ხოლო კოდუას ამოცანაა რეზერვუარში მიიღოს წამოსული წყალი, დაიწყოს მილსადენის ზემო ნაწილის სწრაფად გარეცხვა და შემდეგ წყალი თბილისისაკენ გაუშვას. მრავალი ღამის თეთრად გათენება მოუხდათ ამ ინჟინრებს, თვითონაც ფიზიკურად მუშაობდნენ, რათა ამხანაგებისთვის შრომა შეემსუბუქებინათ და ვალდებულება პირნათლად გაენაღდებინათ.

მთავარი სიძნელეები გადალახულია, ახლა მშენებლები ემზადებიან წყლის გაშვებისათვის.

**დ. ამირანიძე**

## დამთავრდა ზემძლავრი ტურბინის აწყობა

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროში მიღებულია ცნობა, რომ წარმატებით დამთავრდა 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინის სტენდზე აწყობის ძირითადი სამუშაოები. სტალინის სახელობის ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში აგებული ეს უნიკალური აგრეგატი უახლოეს ორ დღეში გაივლის პირველ გამოცდებს. ახლა ორთქლის ტურბინის საამქროს სტენდისაკენ, სადაც დადგმულია ტურბინი, გაჰყავთ მილები. ამ სამუშაოთა დამთავრებისთანავე ტურბინი მიიღებს ორთქლს და დაიწყებს მოქმედებას.

დასასრულს უახლოვდება ტურბინის საქვაბე აგრეგატის აგების სამუშაოები. მის მილებს ამზადებენ ახალი მარკების ლეგირებული ფოლადისაგან, რომლებიც ჯერ ქვაბების მშენებლობაში არ გამოყენებულა. ორთქლის გადამეტმხურებლის მილები იმუშავებენ ზემაღალი წნევით. ტემპერატურა ამ მილებში ისეთ დონეს მიაღწევს, რომლის დროსაც მილების კედლები ანათებენ.

მეორე კვარტალის განმავლობაში ელექტრომრეწველობის სამინისტროს და მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ქარხნები დაამზადებენ დამხმარე მოწყობილობას ტურბინისა და ქვაბისათვის — ელექტრომოტორებს, ტუმბოების სერიას და სხვა მოწყობილობას. (საკდესი).

## ელექტრომოწყობილობა დიდი მშენებლობებისათვის

**ლენინგრადი**, 24 მარტი. (საკდესი). ქარხანა „ელექტროაპარატიდან" „ვოლგადონმშენს" მეორე კვარტალის მიწოდებათა ანგარიშში გაეგზავნა ელექტრომოწყობილობით დატვირთული მორიგი ექვსი ვაგონი.

წლის დამდეგიდან ვოლგის ჰიდროელექტროსადგურების, თურქმენეთის მთავარი არხისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს გაეგზავნათ დენის ორი ათასზე მეტი ზეთის ამომრთველი, გამთიშველი და ტრანსფორმატორი.

მაღალვოლტიანი აპარატები დამზადებულია ვადამდე. მთელმა პროდუქციამ საუკეთესო შეფასება მიიღო.

ქარხანაში ფართოვდება შეჯიბრება თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის მომჭირნეობისათვის. ქარხნის ნოვატორებმა სამი თვის განმავლობაში განახორციელეს ისეთი სიახლენი, რომლებმაც ქარხანას საშუალება მისცა ას ტონამდე შავი და ფერადი ლითონი დაეზოგა, რისგანაც დიდი მშენებლობებისათვის დამზადებულია ორასზე მეტი მაღალვოლტიანი აპარატი.

## ძველი რუსეთის კულტურის ისტორია

„ძველი რუსეთის კულტურის ისტორიის" ტომები აშუქებენ რუსული კულტურის ისტორიას კიევის რუსეთის წარმოშობის დროიდან XIII საუკუნემდე. ამ პირველი სისტემატური გამოკვლევის ავტორებს — ნ. ნ. ვორონინს, ბ. ა. რიბაკოვს, მ. კ. კარგერს, პ. ნ. ტრეტიაკოვსა და დ. ს. ლიხაჩოვს სტალინური პრემია მიენიჭათ. მათ განაზოგადეს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიერ დაგროვილი დიდი მასალა, აგრეთვე იმ არქეოლოგიური ექსპედიციების აღმოჩენები, რომელთა ხელმძღვანელები და მონაწილენი ისინი იყვნენ.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ძველი რუსეთის პროგრესის საფუძველი იყო მატერიალური კულტურის, ხელოსნობის, სოფლის მეურნეობის განვითარება. ამასთან ერთად გამოვლინებულია რუსული სულიერი კულტურის სიმდიდრე, აღწერილია ძველი რუსული ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნების ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი შესანიშნავი ძეგლები. (საკდესი).

## კინოგაკვეთილები

ასობით მოსკოველი მოსწავლე შეიკრიბა 24 მარტს დედაქალაქის უდიდეს კინოთეატრ „როდინაში" ბიოლოგიის არაჩვეულებრივ გაკვეთილზე. ბიოლოგიის პროფესორმა პ. ა. პეტრიაევმა მოსწავლეებს მოაგონა გავლილი მასალა, შემდეგ მათ ნახეს ფილმი „დიადი სიყვარულის კანონი", რომელიც მოგვითხრობს ცხოველთა ცხოვრებაზე.

იმავე დღეს მეათე კლასების მოსწავლენი დაესწრნენ სსრ კავშირის ისტორიის კინოგაკვეთილს, რომელიც მიეძღვნა რუსეთში კაპიტალიზმის წარმოშობის საკითხს და მუშათა მოძრაობის ზრდას. მათ ნახეს მხატვრული ფილმი „არტამონოვების საქმე".

დედაქალაქის სტალინის, პირველი მაისის, ბაუმანისა და კალინინის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა კინოთეატრ „როდინას" მუშაკთა კოლექტივთან ერთად შეადგინეს სკოლების დასახმარებელი კინოსეანსების გეგმა. (საკდესი).

## პარტიული ცხოვრება

# უკეთესად ვუხელმძღვანელოთ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს

თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. სხირტლაძემ.

— რაიონის საწარმოებმა, — თქვა მომხსენებელმა, — გასულ სამეურნეო წელს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 41 მილიონი მანეთის პროდუქცია, წისქვილკომბინატის, ქაღალდის ფაბრიკის, სატრიკოტაჟო-საგალანტერიო ფაბრიკის, მექანიკური და საფერმენტაციო ქარხნებისა და სხვა საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად შეახამეს შინაპარტიული მუშაობა სამეურნეო მუშაობასთან, ყოველდღიურად ზრუნავდნენ კომუნისტებისა და უპარტიო მუშების ალსაზრდელად, მათი პოლიტიკური და საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამიტომაც აღნიშნულმა საწარმოებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს როგორც 1951 სამეურნეო წელს, ისე მიმდინარე წლის ორ თვეში.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, რომელიც სახელმწიფო დავალებებს ვერ ასრულებს. მათ შორის არის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა. მოსალოდნელი იყო, რომ მომხსენებელი ღრმა ანალიზს გაუკეთებდა როგორც ფეხსაცმლის ფაბრიკის, ისე სხვა საწარმოების ჩამორჩენის მიზეზებს, იტყოდა, რომ პარტიის რაიკომი ცუდად ხელმძღვანელობს საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, არ ზრუნავს პირველადი ორგანიზაციების მდივნების დახმარებისა და აღზრდისათვის. ხშირია ძირეული პარტიული კადრების ცვალებადობა, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მომხსენებელი დაკმაყოფილდა მოწინავე და ჩამორჩენილი საწარმოების მხოლოდ ჩამოთვლით. მან ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზად დაასახელა მხოლოდ ძირითადი და დამხმარე მასალების თავის დროზე მიუწოდებლობა. მაგრამ არ ახსნა მიზეზები, თუ რატომ გაიზარდა ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, რატომ არის მუშათა დენადობა, რატომ არ ექცევა ყურადღება ახალგაზრდა კადრების დაწინაურებასა და შენარჩუნებას. მომხსენებელმა არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ ფაბრიკაში ჩაშლილია პარტიული მუშაობა, პარტბიურო ნაკლებად ზრუნავს მუშათა პოლიტიკური განათლებისათვის. მან არც იმაზე თქვა რამე, თუ რა დახმარებას უწევს ფაბრიკას პარტიის რაიკომი.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაიონში პარტიის რიგების ზრდას სათანადო ყურადღება არ ექცევა. 170 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან პარტიაში ერთი კაციც არ მიუღია 95 პარტიულ ორგანიზაციას, პარტიის რიგების ზრდა მოხდა მხოლოდ მოსამსახურეთა ხარჯზე. აღრიცხვაზე მყოფ პარტიის წევრობის კანდიდატთა ნახევარზე მეტი სტაჟგადაცილებულია.

პარტიის რაიკომი ცუდად ხელმძღვანელობდა კომკავშირის რაიკომს, რომელსაც სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს მუშაობაში. მომხსენებელმა კომკავშირის რაიკომის სუსტი მუშაობა რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების ცუდი მუშაობით ახსნა, და დუმილით აუარა გვერდი იმას, რომ პარტიის რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები სათანადოდ არ ეხმარებოდნენ კომკავშირს, ვერ სწვდებოდნენ მისი მუშაობის ნაკლოვანებებს. კომკავშირისადმი დახმარების მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა პირველად პარტიულ ორგანიზაციებშიც.

კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ამხანაგმა.

შოკოლადის ფაბრიკის დირექტორმა გ. ჩაჩხიანმა მკაცრად გააკრიტიკა რაიკომი, რომელიც არასაკმაო ყურადღებას აქცევს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. რაიკომი ზერელედ ეკიდება კადრების შერჩევას, ფაბრიკაში ერთი წლის განმავლობაში სამი მდივანი შეიცვალა. კარგი იქნებოდა, თქვა ამხ. ჩაჩხიანმა, რაიკომის ბიურო სისტემატურად ისმენდეს საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიშებს, ეს სწრაფად გამოარკვევს მუშაობაში დაშვებულ დეფექტებს და დაეხმარება მათს დროზე გამოსწორებაში.

მაკარონის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ლ. ალადაშვილმა მოიყვანა მშრომელთა შენიშვნებისა და სიგნალებისადმი რაისაბჭოს აღმასკომის უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. ამხ. ალადაშვილმა გააკრიტიკა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, რომელიც ცუდად ხელმძღვანელობს კომუნისტთა პოლიტიკურ განათლებას.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისა და ზოგიერთი სხვა საწარმოსა და დაწესებულების პარტიული ორგანიზაციების მდივნები გააკრიტიკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ა. გოგუაძემ, ამ ორგანიზაციების მდივნები სრულებით არ არიან დაინტერესებული კომკავშირის საქმიანობით, არ ესწრებიან კომკავშირელთა კრებებს, არ ასწავლიან მათ მუშაობას.

№ 2 პურის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ნიკოლაიშვილმა წამოაყენა წინადადება წარმოების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირების მოწვევის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქ. მოისწრაფიშვილმა, ი. გიორგაძემ, ვ. მაღრაძემ, მ. ჭანტურიძემ, გ. ჩოგოვაძემ, ვ. პანიევმა და სხვებმა.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. სხირტლაძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. ახვერდოვი და მდივნად — ამხ. შ. ტიტვინიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ს. იმხანოვმა, გ. ჟორჟიკაშვილმა, ე. ჩერქეზიამ, თ. ქვლივიძემ, გ. ჯიბლაძემ და მ. მაღრაძემ.



თბილისი. ჩაის ხაწონი ქარხანა. სურათზე: შემფუთავი საამქროს სტახანოველები ნ. კვერცხიშვილი (მარჯვნივ) და თ. სულხანიშვილი, რომლებიც ყოველდღიურ ნორმას 125-130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ელ. გინზბურგისა

# საავტომობილო ქარხნის საამქროებში

მაღალნაყოფიერად დაიწყეს ბრძოლა ახალი სამეურნეო წლის ამოცანების შესასრულებლად ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. წარმატებით ითვისებენ რა შასის, კაბინისა და მანქანის ზოგიერთი სხვა ნაწილის წარმოებას, მეავტომობილეები დღითიდღე ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავისათვის შეასრულა იანვარ-თებერვლის დავალება და თვის ბოლომდე მარტის ანგარიშში ათობით ავტომობილი გამოუშვა.

ამჟამად ქარხნის კოლექტივის წინაშე დგას ამოცანა — 1952 წლის აპრილისათვის ათვისებულ იქნას „კაზ-585-ბ“ მარკის თვითდასაცლელი ავტომანქანა.

აღნიშნული დავალების შესასრულებლად ქარხნის საამქროებში ენერგიული მუშაობაა გაჩაღებული. მეავტომობილეებმა 26 იანვარს მიიღეს თვითდასაცლელი მანქანის ათვისების დავალება და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი რამ საგულისხმო გააკეთეს.

უკვე ათვისებულია თვითდასაცლელი მანქანის დგუშის ღერძის, განმანაწილებელი ონკანის საცობის, კრონშტეინის (მბრჯენის) მილისა და სხვა დეტალის წარმოება. ამ დეტალების წარმოების ათვისების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ინჟინერმა გ. ქარუმოვმა, ტექნიკოსმა ვ. ჩაჩხიანმა, ამწყობმა შ. სილაგაძემ და სხვებმა.

იმავე უბანზე ახლახან შეიქმნა ამწყობთა ბრიგადა, რომელიც წარმატებით ეწევა ათვისებული დეტალების აწყობას. უბანში სულ მოკლე ხანში დაამთავრებენ ცილინდრების მთელი კვანძის ათვისებას.

სიჩქარის კოლოფის საამქრო საზეთ ტუმბოსა და ამწევ მექანიზმს ამზადებს თვითდასაცლელი მანქანისათვის. ამასთან დაკავშირებით გამართულია ორი აგრეგატი, რომელიც 15 დეტალის ათვისებაზე მუშაობს. ზეინკლები გ. ბართია, გ. ჭელიძე, დ. ბენიძე, გ. გორდაძე და გ. ადამია წარმატებით ასრულებენ სამონტაჟო სამუშაოებს.

აღსანიშნავია ინჟინრების ა. მიქანარაშვილის, რ. ქარცივაძის და ნ. ძიძიშვილის ნაყოფიერი მუშაობა. აღნიშნულ უბანზე მათ ამ დღეებში განახორციელეს სახარატო, საბურღავ და სალარავ დაზგებზე ლითონის ჩქარი დამუშავების მეთოდი.

შასის საამქროც აქტიურად მონაწილეობს ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში. გარდა კარდანის ღერძის, საჭის მექანიზმის, რედუქტორისა და წინა და უკანა ხიდებისა, რომლებიც შასში შედის, საამქროს კოლექტივი მუშაობს თვითდასაცლელი მანქანის საღერძე ნაწილის ასათვისებლად. მექანიკოსი გ. ჯავახაძე, ოსტატი გ. ბუზიაშვილი, ხარატი დ. აფხაზავა და სხვები ყოველდღიურად სრულყოფენ ახლად ათვისებული დეტალების წარმოებას.

30 დეტალის წარმოებას ითვისებს ავტომატების საამქრო „კაზ-585-ბ“ მანქანისათვის. აქედან უკვე დაწყებულია 8 დეტალის, მათ შორის წამყვანი კბილანის ღერძის, კონუსური საცობის, საზეთი ტუმბოს ამომრთველისა და სხვათა გამოშვება.

საამქროს სტახანოველებმა ახალი პროდუქციის ათვისების დროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანეს მათი დამუშავების პროცესში. მაგალითად, ამწყობმა ლ. ექსეულიძემ თვითდასაცლელი მანქანის დეტალის — ხრახნკუთხვილის დამუშავება, ნაცვლად ორი ოპერაციისა, ერთი ოპერაციით განახორციელა. შემოქმედებითი აქტივობით ასევე ისახელეს თავი ოსტატებმა ე. კოხრეიძემ, ბ. ბოჭორიშვილმა, მეიარაღე ვ. ჟორჟოლიანმა, ხრახნმჭრელმა ი. ლეჟავამ და სხვებმა.

თვითდასაცლელი მანქანის ასათვისებლად ენერგიულად იბრძვიან აგრეთვე სხვა საამქროთა კოლექტივები. ქუთაისელი მეავტომობილეები თავდადებული შრომით პირნათლად გაანაღდებენ დაკისრებულ საპატიო ამოცანას—აპრილში მთლიანად დაამთავრებენ თვითდასაცლელი მანქანის ათვისებას და გადავლენ მის სერიულ წარმოებაზე.

**გ. მეფისაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სტალინური პრემიის ლაურეატები

# სახელოვანი ექიმი

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღების საგანია. საბჭოთა სახელმწიფო დიდძალ სახსრებს ხარჯავს სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები მილიონობით თანხებს აბანდებენ ახალი მსოფლიო ომის მოსამზადებლად, ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება დაბანდებანი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

მთელი მსოფლიო აღაშფოთა ამერიკელი იმპერიალისტების მხეცურმა მოქმედებამ — კორეასა და ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებამ. ამერიკელი აგრესორები მშვიდობიან მცხოვრებთა მოსასპობად უსაზიზღრეს ხერხებს მიმართავენ, იყენებენ სხვადასხვა გადამდებ სნეულებათა ბაქტერიებს. ოკეანისგაღმელი ყაჩაღების ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა საყოველთაო პროტესტის დღეებში საბჭოთა ადამიანებს უდიდესი სიამაყით აღავსებს ის, რომ საბჭოთა მთავრობამ სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიანიჭა მედიცინის 11 თვალსაჩინო მუშაკს ღონისძიებათა კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვისათვის, რამაც უზრუნველყო სსრ კავშირში მალარიით დაავადების მკვეთრი შემცირება და მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში მალარიის, როგორც მასობრივი დაავადების ლიკვიდაცია.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის ეს ფაქტი მით უფრო სასიხარულოა, რომ საბჭოთა მედიცინის ამ გამოჩენილ მუშაკთა ჯგუფშია აფხაზეთის მალარიის საწინააღმდეგო სადგურის დირექტორი პეტრე სპირიდონისძე ჯაფარიძე.

პეტრე ჯაფარიძე მაიაკოვსკელი გლეხის შვილია. სწავლისმოწყურებული ახალგაზრდა ქუთაისის გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნოვოროსიისკს გაემგზავრა. აქ მან 1914 წელს წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1919 წელს ჩავიდა სუხუმში, სადაც ქალაქის სანიტარულ ექიმად მუშაობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პ. ჯაფარიძისათვის მეცნიერული მოღვაწეობის ფართო ასპარეზი გადაიშალა. 1922 წელს იგი მუშაობას იწყებს სუხუმის ცენტრალური სამალარიო სადგურის ორდინატორად. ეს სადგური შემდეგში რეორგანიზებულ იქნა ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტად, სადაც პ. ჯაფარიძე დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. იგი ექიმ ნ. რუხაძესთან ერთად ამ ინსტიტუტის დაარსების ინიციატორია.

1937 წელს პ. ჯაფარიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წელს მიიწვიეს ლ. ბერიას სახელობის სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსის ლექტორად. ინსტიტუტში დღესაც ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას.

1950 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პ. ჯაფარიძე სასახელოდ იცავს სადოქტორო დისერტაციას. მის სადისერტაციო ნაშრომში დამუშავებულია მალარიის ინფექციის ხანგრძლივობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ოცდახუთზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი, საბჭოთა მედიცინის მუშაკთა ყველა ყრილობის მონაწილე, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი პეტრე ჯაფარიძე დიდი სიყვარულით სარგებლობს მოსახლეობაში და სტუდენტთა შორის. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

ოცდათორმეტი წელიწადია, რაც პ. ჯაფარიძე ხალხის საკეთილდღეო მეცნიერულ მუშაობას ეწევა. აფხაზეთის მალარიის საწინააღმდეგო სადგური, რომლის დირექტორიც ის არის, მთელ თავის მუშაობას წარმართავს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის საუკეთესოდ დაყენებისაკენ, სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

უმაღლეს ჯილდოს — პირველი ხარისხის სტალინური პრემიის მინიჭებას სახელოვანი ექიმი პეტრე ჯაფარიძე უპასუხებს გაასკეცებული შრომით საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

**ს. პავლიაშვილი**

# დაიწყო საბავშვო წიგნის კვირეული

23 მარტს დაიწყო „საბავშვო წიგნის კვირეული“, რომელიც 31 მარტამდე გაგრძელდება. საქწიგნის პირველ მაღაზიაში ამასთან დაკავშირებით მოაწყეს საბავშვო წიგნების გამოფენა. გამოფენაზე გამოტანილია 16 სახელწოდების ქართული და 30-ზე მეტი სახელწოდების რუსული საბავშვო წიგნი 15.000 ცალის საერთო ტირაჟით. აქ არის მ. გორკის „დედა“, ი. კრილოვის „იგავ-არაკები“, ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, ნ. ნეკრასოვის „გლეხის ბავშვები“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ს. მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდი“, ანა ხახუტაშვილის „გაზაფხულის მერცხლები“ და სხვა წიგნები.

კვირეულის პირველ დღეს — 23 მარტს მაღაზიამ 3.000 მანეთის საბავშვო ლიტერატურა გაყიდა.

საქწიგნის მეშვიდე მაღაზიამ გასაყიდად გამოიტანა 30-ზე მეტი სახელწოდების საბავშვო წიგნი, უმთავრესად სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლიტერატურა: დ. გედევანიშვილის „ნორჩი ფიზიკოსი“, პროფესორ ვ. ბოგოროვის „წყალქვეშა სამყარო“, პროფესორ გ. ზარიძის „როგორ წარმოიშვა დედამიწა“, შ. გოგატიშვილის „პირველობა ფიზიკურ გეოგრაფიაში“ და მრავალი სხვა.

მომზადებულნი შეხვდნენ კვირეულის დაწყებას წიგნების სხვა მაღაზიათა მუშაკებიც. პირველ დღეს ბავშვები მასობრივად იძენდნენ მათთვის საინტერესო ლიტერატურას.

ამ დღეს ფართოდ იყო გაჩაღებული ვაჭრობა ქუჩებში სახელდახელოდ მოწყობილ კიოსკებში და მაგიდებზე.

# განვავითაროთ სოფლის ინტელიგენციის აქტივობა

საკოლმეურნეო წყობილების პირობებში საბჭოთა სოფელმა ეკონომიკისა და კულტურის უმაღლითო აყვავებას მიაღწია. კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით სულ ახალ წარმატებებს აღწევენ თავიანთ მუშაობაში. კოლმეურნე გლეხობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სოფლის ინტელიგენცია. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, იგი ერთგულად და სიმართლით ემსახურება ხალხს, შთაგონებულად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**„ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან... იგი ახლა თანასწორუფლებიანი წევრია საბჭოთა საზოგადოებისა, სადაც მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას“.**

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლად აღიზარდა მრავალრიცხოვანი რაზმი ხალხის წიაღიდან გამოსული ახალი ინტელიგენციისა, რომელიც მზად არის ერთგულად ემსახუროს მას. განუწყვეტლივ მატულობს აგრონომთა, მასწავლებელთა, ექიმთა, ზოოტექნიკოსთა, მექანიზატორთა, სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა რიცხვი. სოფლის ინტელიგენციის რიგებს ემატებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორები, რომლებიც შემოქმედებითი შრომით ამდიდრებენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებასა და პრაქტიკას. სოფლის ინტელიგენციას დიდი წვლილი შეაქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში. სოფლის ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს თვალსაჩინო მეცნიერული შრომებისათვის, გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება. სოფლის ინტელიგენციაში ბევრია სოციალისტური შრომის გმირი.

ამჟამად სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანაა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში ბევრი რამ უნდა გააკეთოს ჩვენმა სოფლის ინტელიგენციამ.

განსაკუთრებით დიდია სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა პასუხისმგებლობა. ამ უკანასკნელ ხანს გამსხვილებულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი გახდა ბევრი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი. ეს შესაძლებლობას ქმნის ამაღლდეს საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დონე, ამაღლდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც სათავეში უდგანან კოლმეურნეობებს, როგორც წესი, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ მეურნეობას, აიარაღებენ კოლმეურნეებს მიჩურინული ბიოლოგიით, ნერგავენ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. კოლმეურნეობებში არის წრეებისა და კურსების ფართო ქსელი, სადაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ხელმძღვანელობით მილიონობით კოლმეურნე იმაღლებს აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ცოდნას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ახლა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ორგანიზატორული როლი, განუვითარონ მათ შემოქმედებითი ინიციატივა, ჩაუნერგონ ახლის, მოწინავის გრძნობა. განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა პოსტებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის. უნდა დავეხმაროთ მათ, რომ რაც შეიძლება მალე დაეუფლონ მსხვილი კოლექტიური მეურნეობის მართვის რთულ საქმეს, შევაიარაღოთ ისინი კოლმეურნეობების საუკეთესო თავმჯდომარეთა მუშაობის გამოცდილებით.

სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა ეყრდნობოდნენ მრავალრიცხოვან სოფლის ინტელიგენციას, კოლმეურნეთა ფართო აქტივს. საჭიროა უფრო გაბედულად ჩავაბათ ინტელიგენცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობაში.

ინტელიგენციისათვის მოღვაწეობის ფართო ასპარეზია შექმნილი სოფლად კულტურის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის სასოფლო რაიონებში მუშაობს მრავალი ათასი სკოლა, სხვადასხვა კურსები, საკოლმეურნეო კულტურის სახლები და კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ-სამკითხველოები, კინოთეატრები. სოფლად შექმნილია ლექტორთა ჯგუფები, რომლებიც დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან კოლმეურნეებში, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებში. მაგალითად, ალტაის მხარეში ცხრაასი სასოფლო ლექტორიუმია, რომლებშიც მუშაობს ინტელიგენციის შვიდი ათასზე მეტი წარმომადგენელი. აქ რეგულარულად იკითხება ლექციები საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ, პოლიტიკურ, აგრონომიულ და სხვა თემებზე. უკანასკნელი წლის მანძილზე მხარის კოლმეურნეობებში წაკითხულ იქნა ორმოცი ათასზე მეტი ლექცია. სანიმუშოდ მუშაობს ტროიცკოეს რაიონის პეტროვსკის სასოფლო ლექტორიუმი. ლექტორიუმის ხელმძღვანელმა არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. სმეტანნიკოვმა, აგრეთვე ლექტორებმა აგრონომმა ამხ. ზელენსკიმ, ვეტერინარმა ექიმმა ამხ. კოლესნიკოვმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა ამხ. ტიმკინამ, ექიმმა ამხ. მალიშევამ და სხვებმა ერთი წლის განმავლობაში კოლმეურნეებისათვის წაიკითხეს ასზე მეტი ლექცია კომუნიზმის დიად მშენებლობათა, კორეელი ხალხის გმირული ბრძოლის, მიჩურინული ბიოლოგიის, გოგოლის შემოქმედების შესახებ და სხვა თემებზე.

სოფლის მრავალრიცხოვან ინტელიგენციას მოწინავე პოზიციები უკავია ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში. იგი გამოდის როგორც პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწე მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მასებში შეაქვს ლენინ-სტალინის პარტიის იდეები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეები.

ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი იზიდავს ფართოდ ინტელიგენციას მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, უზბეკეთის კაშკა-დარიის ოლქში სოფლის პარტიული ორგანიზაციები სუსტად აბამენ მასწავლებლებს, აგრონომებს, ექიმებს კოლმეურნეთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. აქ ბევრი კლუბი, ქოხ-სამკითხველო არ მუშაობს და გაღებულია მხოლოდ კოლმეურნეთა კრებების დღეებში, ჯეროვნად არავინ ხელმძღვანელობს მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. კოლმეურნეობებში იშვიათად იკითხება ლექციები. პარტიის კაშკა-დარიის საოლქო კომიტეტმა იცის ეს ნაკლოვანებანი, მაგრამ ქმედითს ღონისძიებებს არ იღებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა სოფლად.

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ზრუნვა სოფლის ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. სოფლის ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი ბეჯითად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. ათასობით მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი აქტიურ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, ხელმძღვანელობს პარტიული განათლების სისტემის პოლიტსკოლებსა და წრეებს, კითხულობს მოსახლეობისათვის ლექციებსა და მოხსენებებს.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ ინტელიგენციის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. თათრეთის ასს რესპუბლიკის მენზელინსკის რაიონში შვიდასზე მეტი მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი და სოფლის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელია. პარტიის რაიკომი კი ნაკლებად ზრუნავს მათი პოლიტიკური განათლებისათვის. იგი ურიგდება იმას, რომ ზოგიერთი მასწავლებელი, აგრონომი და სხვა მუშაკი საკმაოდ არ იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს. რაიკომი ინტელიგენციისათვის არ აწყობს ლექციებს ბოლშევიკური პარტიის თეორიისა და ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის თემებზე, საერთაშორისო მდგომარეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მისი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია. კადრების აღზრდის ნაცადი საშუალებაა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. საჭიროა ყოველდღიურად აღვზარდოთ სოფლის ინტელიგენცია სახელმწიფოს ინტერესების ზუსტად დაცვის, მუშაობაში მაღალი მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ინტელიგენციის როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ინტელიგენცია ღირსეულად ემსახურება თავის ხალხს, თავის მშობლიურ სოციალისტურ სახელმწიფოს.

„პრავდის“ 25/III მოწინავე

# ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

## წერილები საზამთრო საძოვრებიდან

ლენინგორის რაიონული გაზეთი „სტალინელი" ბეჭდავს ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან მიღებულ წერილებს, რომლებშიც მოთხრობილია მეცხვარეთა თავდადებული შრომის შესახებ. მეცხვარეობის ფერმებში გაჩაღებულია დოლი.

**„ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, — წერს გაზეთი, — 25 თებერვლიდან მასობრივად დაიწყო დოლი. ხელსაყრელ ამინდს, კარგ საკვებს და მეცხოველეობის მუშაკთა დაუღალავ შრომას შესანიშნავი შედეგი მოაქვს".**

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ სოფელ ნახიდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში (გამგე ი. ჩოჩელი) უკვე მიიღეს 700 სული ბატკანი, სოფელ ლარგვისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში (გამგე ვ. შერმადინი) 835 სული. ორივე ფერმაში ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია. თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ სოფელ უკანამხარის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები. ფერმაში, რომლის გამგე ამხ. ბაშარულია, უკვე მიიღეს 1.227 სული ბატკანი, რომლებიც მთლიანად შენარჩუნებულია.

## სამტრედიელი მრავალდაზგოსნების წერილი ციალა ღლონტისადმი

ჩვენი რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობაში ფართოდ ვრცელდება მახარაძელი ნოვატორის ციალა ღლონტის გამოცდილება. ამაწლის 21 თებერვლიდან ციალა ღლონტის მუშაობის მეთოდით შეუდგნენ მუშაობას სამტრედიის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშები. ამ ფაბრიკის პირველი ნოვატორი ოლია ნადირაძე უკვე სამ დაზგაზე მუშაობს და ერთ ხუთდღიურში გეგმა სამ დაზგაზე 107,2 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 3.409 კილოგრამი ნედლეული.

ამ საკითხს მიუძღვნა სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა 4 მარტის ნომერში განყოფილება ანშლაგით: „ახალი, მოწინავე მეთოდების დანერგვა წარმოებაში გამარჯვების უდავო საწინდარია". წერილში—„ფართოდ ნერგავენ ციალა ღლონტის მუშაობის მეთოდს" ვკითხულობთ:

**„თუ რაოდენ დიდ შედეგებს იძლევა ციალა ღლონტის მუშაობის მეთოდი, ამას ნათლად მეტყველებს უკანასკნელ დღეებში ფაბრიკის კოლექტივის მიერ მოპოვებული წარმატებანი...**

**25 თებერვლიდან 1 მარტამდე გეგმა ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით 108,5 პროცენტით შეასრულა და 42 კილოგრამი ნედლეული დაზოგა".**

სამტრედიელებმა წერილი გაუგზავნეს ციალა ღლონტს. გაზეთმა დაბეჭდა ეს წერილი, რომელშიც ნათქვამია:

**„ჩვენ, სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მოწინავე ქალები გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გულდასმით გავეცანით თქვენი მუშაობის მეთოდს. თქვენი მეთოდით მუშაობით შესანიშნავ წარმატებას მივაღწიეთ. ფაბრიკაში ახლა სამ-სამ დაზგაზე 8 ქალი მუშაობს. თებერვლის უკანასკნელი ხუთდღიურის დავალება 104-107 პროცენტით გავანაღდეთ... გადავწყვიტეთ უახლოეს დღეებში გადავიდეთ 4 და 6 დაზგაზე სამუშაოდ. აღსანიშნავია ორდაზგოსნების ნ. ცინცაძის, თ. ნინუას, ნ. აბზიანიძის მუშაობის მაგალითები. ისინი ამ დღეებში გადავლენ სამ დაზგაზე სამუშაოდ".**

# დიდი გერმანელი კომპოზიტორი

**(ლ. ბეთჰოვენის გარდაცვალების 125 წლისთავისათვის)**

დიდი გერმანელი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი შემოქმედია მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათლად მეტყველებს კომპოზიტორის ტიტანური პიროვნების, გენიალური მუსიკალური ნიჭის, მჩქეფარე, მეამბოხე ტემპერამენტის, ურყევი ნებისყოფის შესახებ.

საზოგადოებრივი მოვალეობის მტკიცე შეგნებაზე დამყარებული მაღალი იდეურობა ბეთჰოვენის როგორც მუსიკოსისა და მოქალაქის დამახასიათებელი თვისება იყო. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თანამედროვემ, ბეთჰოვენმა თავის შემოქმედებაში ასახა იმ ეპოქის უდიდესი ხალხური მოძრაობა, მისი ყველაზე პროგრესული იდეები. ბეთჰოვენის ხელოვნება იმთავითვე გასცილდა ვიწრო ბურჟუაზიული ინტერესებისა და იდეალების ჩარჩოებს და პოვა გზა ჭეშმარიტი დემოკრატიზმისაკენ.

ბრძოლა ფეოდალური წყობილების ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის, პიროვნების ბრძოლა წოდებრივი შეზღუდულობის გარეშე განვითარების უფლებისა და შესაძლებლობისათვის — აი ნიადაგი, რომელიც ასაზრდოებდა ბეთჰოვენის შემოქმედებით შთანაფიქრს.

ბეთჰოვენი დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორიაში უდიდეს სიმფონისტად ითვლება. სიმფონიზმი იყო მისი იდეების გამოსახვის საუკეთესო ფორმა. ბეთჰოვენის საუკეთესო სიმფონიურ ნაწარმოებებში—მე-3 (გმირულ), მე-5, მე-9 სიმფონიებში, უვერტიურებში „ეგმონტი", „ლეონორა" № 2, „ლეონორა" № 3, „კორიოლანში", მე-5 საფორტეპიანო კონცერტში და სხვ. მკაფიოდ გაისმის თემა გმირი პიროვნებისა და ხალხის მასების ბრძოლისა დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ბეთჰოვენის სიმფონიზმის განვითარების უმაღლესი წერტილია მისი მე-9 სიმფონია, რომელიც კომპოზიტორის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების შედეგს წარმოადგენს.

მე-9 სიმფონიაში ბეთჰოვენს, პირველად ამ ჟანრის ისტორიაში, შეჰყავს გუნდური ფინალი; გუნდი ოთხი სოლისტის მონაწილეობით, ორკესტრის თანხლებით ასრულებს ფ. შილერის ოდას „სიხარულისადმი". ბეთჰოვენის ეს გენიალური ნაწარმოები მიმართულია მსმენელთა მილიონებისადმი, რაზეც მეტყველებს შილერის ოდის ტექსტიც: „მილიონებო, გადაეხვიეთ ერთმანეთს!" ბეთჰოვენის „სიხარულის სიმფონია" შეიძლება დავაყენოთ მსოფლიო ხელოვნების უდიდეს რევოლუციურ-გმირულ ნაწარმოებთა გვერდით. იგი ხატავს განთავისუფლებული კაცობრიობის ბედნიერ მომავალს, კაცობრიობისა, რომელიც შთაგონებულია გაბედული მისწრაფების სიხარულით, ყველა ადამიანის თანასწორობის კეთილშობილური იდეით.

ბეთჰოვენის მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა შეიცავს ყოველი მუსიკალური ჟანრის ნაწარმოებებს. მის ქმნილებებში, დაწყებული უბრალო სიმღერით და გათავებული ურთულესი სიმფონიური ფორმით, მჟღავნდება მრავალმხრივი ურთიერთობა ხალხურ მუსიკასთან, — ხალხურ სიმღერებთან და ცეკვებთან, უმარტივეს ხალხურ მუსიკალურ ჟანრებთან. კომპოზიტორი შემოქმედებითად ამუშავებდა საყოფაცხოვრებო, დემოკრატიული მუსიკის ფორმებსა და ჟანრებს, ავსებდა მათ ახალი, მკაფიო რევოლუციური შინაარსით. ამრიგად, ბეთჰოვენი ყველაფერს, რასაც ხალხისაგან იღებდა, უბრუნებდა მას განახლებულ, ესთეტიკურად სრულქმნილ ფორმებში, ისტორიული გამოცდილებით გამდიდრებულს.

ბეთჰოვენის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა აღიარებული იყო ჯერ კიდევ დიდი კომპოზიტორის სიცოცხლის დროს. მან დაიმკვიდრა მუსიკის უდიდესი კლასიკოსის სახელი. მიუხედავად ამისა, ცხოვრების უკანასკნელი წლები ბეთჰოვენმა მძიმე გაჭირვებასა და მარტოობაში გაატარა. ვენის მაღალი საზოგადოება მეტერნიხის რეაქციის დროს გატაცებული იყო ზერელე-ვირტუოზული გასართობი ხელოვნებით. ამიტომ მისთვის უცხო იყო ბეთჰოვენის ღრმადშინაარსიანი შემოქმედება. კომპოზიტორი დახმარებას პოულობდა მხოლოდ თავის მეგობართა ვიწრო წრეში, რომელნიც მის მოწინავე შეხედულებებს იზიარებდნენ.

ბეთჰოვენი მუდამ შეურიგებლობას იჩენდა არისტოკრატიისადმი. ამავე დროს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა კონსერვატიული ბიურგერობის წვრილმანობასა და გონებაშეზღუდულობას, მის მეშჩანურ ფილისტერობას. ბეთჰოვენის ე. წ. „სალაპარაკო რვეულების" ჩანაწერები (კომპოზიტორი ცხოვრების უკანასკნელ წლებში სრულიად დაყრუვდა და ადამიანებთან ურთიერთობა წერილობით უხდებოდა) ნათელყოფენ გენიოსი კომპოზიტორის მძაფრ სიძულვილს დესპოტური რეჟიმისადმი, მის უსაზღვრო თავისუფლებისმოყვარეობას, სულიერი ინტერესების უაღრესად ფართო არეს.

პროგრესული კაცობრიობისათვის ბეთჰოვენი მუდამ დარჩება უდიდეს რევოლუციონერ მხატვრად და მოქალაქედ, რომელმაც თავისი ინტერესები მჭიდროდ დაუკავშირა ხალხის ინტერესებს.

დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები ვ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი ბეთჰოვენს მსოფლიო მნიშვნელობის პირველხარისხოვან გენიოს მხატვრად თვლიდნენ. ბელინსკიმ იგი ხელოვნებაში რეალისტური ეპოქის გამომსახველად აღიარა. ბეთჰოვენი დიდი ლენინის ერთ-ერთი უსაყვარლესი კომპოზიტორი იყო.

საბჭოთა კავშირის მუსიკალურ ცხოვრებაში ბეთჰოვენის შემოქმედებას დიდი ადგილი უჭირავს და საბჭოთა მსმენელის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს.

ბეთჰოვენი ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანთა გულში, რომელნიც იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის და კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი დამფასებელნი არიან, იმ ადამიანთა გულში, რომელთაც მომავალი ეკუთვნით.

**ე. დავითაშვილი**

ჩვენ გვწერენ

# მგზავრთა მომსახურება უნდა გაუმჯობესდეს

ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის ხაზზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის ცუდად ზრუნავენ. დაბაძვლის ბაქანი მომსახურებას უწევს სოფლების: ცუცხვათის, ძუყნურის, დაბაძვლის და ბუეთის მცხოვრებლებს. ბაქანზე არ არის მგზავრთა მოსაცდელი შენობა და ცუდი ამინდის დროს მგზავრები უთავშესაფროდ არიან.

ასეთივე მდგომარეობაა კურსების, გელათის და ჭყეპის ბაქნებზე, სადაც წვიმის დროს მგზავრებს თავშესაფარი არა აქვთ.

მგზავრები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილება მგზავრთა უკმაყოფილებას რატომღაც ყურადღებას არ აქცევს.

**ი. ქარქაშაძე**

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

# სკოლის ულირსი დირექტორი დასჯილია

თელავის რაიონის სოფელ ხოდაშნის 8-წლიანი სკოლის დირექტორმა შ. წივილაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების თავისი მოწმობა მიჰყიდა მისივე გვარისა და სახელის მქონე შ. წივილაშვილს, — სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიონულ კომიტეტს. როგორც პარტიის თელავის რაიკომი გვატყობინებს, აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც შ. წივილაშვილი თანამდებობიდან მოხსნა, გარიცხა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან და პასუხისგებაში მისცა.

# დაუდევარი მუშაობისათვის

საჩხერის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა—რაიავტოობის განყოფილების გამგე ხ. ცოციაშვილი საავტო წესების დარღვევას ყურადღებას არ აქცევს და დაკისრებულ საქმეს თავს ვერ ართმევსო.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიონულ კომიტეტს. როგორც რაიკომი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ ამხ. ხ. ცოციაშვილი მოხსნა თანამდებობიდან და საქმე გადასცა პროკურატურას მისი პასუხისგებაში მისაცემად.

# ამერიკელ აგრესორთა საზიზღარ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ

## მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ამერიკელი ინტერვენტების ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მიტინგზე პირველი სიტყვა წარმოთქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ვ. ჩიქოვანმა.

— მთელი საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — აღშფოთებულია ამერიკელ აგრესორთა ახალი ბოროტმოქმედებით. მათ უსინდისოდ დაარღვიეს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ადამიანების მასობრივი ჟლეტის ყოველგვარი იარაღის გამოყენებას კრძალავენ. ჩვენ მოვითხოვთ ომის შეწყვეტას კორეაში და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ორგანიზატორთა სასტიკად დასჯას.

მრავალდაზგოსანმა სტახანოველმა მქსოველმა მ. მოდებაძემ განაცხადა: ამერიკელი აგრესორები ყველა საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რომ გატეხონ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი კორეელი ხალხის ნებისყოფა, გახდნენ მსოფლიოს ბატონ-პატრონები, მაგრამ დიდია პროგრესული კაცობრიობის მისწრაფება მშვიდობისაკენ. მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

ტრიბუნაზეა სტახანოველი მქსელავი ამხ. ნ. ბარათაშვილი.

— ჩვენ, მქსელავები, — ამბობს იგი, — ამერიკელთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ვიღებთ ვალდებულებას გამოვუშვათ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია და გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, რაც ჩვენი წვლილი იქნება მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

— მსოფლიოს ხალხებს, — თქვა საქსოვი საამქროს მეხუთე ბრიგადის ქვეოსტატმა ვ. ბარნაბიშვილმა,—სურთ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა, ისინი მოითხოვენ ამერიკელი კაციჭამიების ალაგმვას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ ამერიკელი ინტერვენტების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, მოვითხოვთ ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვას.

სიტყვები წარმოთქვეს მოსამზადებელი საამქროს ინჟინერმა თ. ერაძემ, სამღებრო-საპრეტურო საამქროს მუშამ გ. ძიძიგურმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა ბოროტმოქმედებებს და მოითხოვენ ბაქტერიოლოგიური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვას.

## ტყიბულელთა ხმა

**ტყიბული.** („კომუნისტის" კორ.). ტყიბულის შახტებში მიმდინარეობს ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ.

მიტინგზე სტალინის სახელობის შახტის მნგრეველმა შ. ფურცხვანიძემ განაცხადა: ამერიკელმა კაციჭამიებმა ჩაიდინეს კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედება. მათ კორეისა და ჩინეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს შავი ჭირის, ტიფისა და ხოლერის მიკრობები. მაგრამ გმირ კორეელ ხალხს ვერ შეაშინებს ვერაგი მტრის ვერავითარი საზიზღარი მახინაცია. ისინი მტკიცედ იბრძოლებენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა დაიცვას კაცობრიობა მასობრივი გაჟლეტის საშიშროებისაგან.

ტყიბულის მოწინავე მეშახტეებმა ლ. გოჩელაშვილმა, გ. გოგიაშვილმა, ო. ცეცხლაძემ, შ. შოთაძემ და სხვებმა თავიანთ სიტყვებში დაგმეს ამერიკელი სამხედრო დამნაშავენი და პირობა დადეს თავდადებული შრომით განამტკიცონ მშვიდობის საქმე მთელ მსოფლიოში.

## კაცობრიობის უბოროტესი მტრები

**მახარაძე.** (საქდესი). რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავიანთ მრისხანე პროტესტს აცხადებენ კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა საზარელი დანაშაულის წინააღმდეგ.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გამართულ მიტინგზე, რომელსაც 400-მდე კოლმეურნე დაესწრო, სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ნაკაიძემ. მან თქვა:

— კაცობრიობის უბოროტესი მტრები — ამერიკელი იმპერიალისტები უმაგალითო დანაშაულის გზას დაადგნენ. მათ გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ. ჩვენ, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღშფოთებას გამოვთქვამთ და სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ ამ საზარელი ბოროტმოქმედების ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს.

— ამერიკელ იმპერიალისტთა საშინელი დანაშაულობის საპასუხოდ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, უფრო თავდადებით ვიშრომებთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — საკეთილდღეოდ,— თქვა სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ხურციძემ.

კოლმეურნეები გულისწყრომით გმობენ ამერიკელ დამნაშავეებს და ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

# მსუბუქი მრეწველობა ახალი ამოცანების წინაშე

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგად საწარმოო პროგრამა მრეწველობის ყველა დარგმა შეასრულა. მთლიანად სამინისტროს ყველა საწარმომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 61 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი, მათ შორის 425 ათასი მეტრი შალისა და 200 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 67 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 87 ტონა საძირე ტყავი, 117 ტონა ბამბა და სხვ. გეგმის გადაჭარბებით, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 7,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგში საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და გაფართოვდა ასორტიმენტი. ათვისებული და გამოშვებულია შალის შტაპელის ქსოვილი, ტრიკო „თბილისი", კრეპის ჯგუფის ახალი ქსოვილები ნატურალური აბრეშუმისაგან, 180-ზე მეტი ახალი მოდელის ტანსაცმელი, 60-ზე მეტი ახალი მოდელის ფეხსაცმელი, გადიდდა ლაქისა და ძვირფასი საზედაპირე ტყავის გამოშვება, გაუმჯობესდა ქსოვილების მოჩითულობა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული საწარმოო კულტურის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. 500-ზე მეტი საწარმოო ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებულია 7.500 მუშა, ერთმანეთს ეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და დამხმარე მასალების დაზოგვისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში ფართო გამოხმაურება პოვა მოსკოველი ნოვატორების მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის პატრიოტულმა თაოსნობამ თვითეული საწარმოო ოპერაციის მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში. თვითღირებულების კომპლექსური შემცირებისათვის შეჯიბრებაში ჩაება ათასობით მუშა. შეჯიბრების მსვლელობაში მარტო თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ნ. ხარიტონაშვილი, გ. ახალკაცი და ა. ანდღულაძე ხელმძღვანელობენ, სახელმწიფოს ათეულ ათასობით მანეთი დაუზოგეს.

გაწეული მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დიდმა ნაწილმა საერთო პროდუქციის გამოშვების დავალების გადაჭარბებასთან ერთად შეძლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახის პროდუქციის მთლიანად გამოშვება, გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით, სანომენკლატურო და ხარისხობრივი მოთხოვნების სრული დაცვით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მაუდკამვოლის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკების, თბილისის ტყავის პირველი ქარხნისა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივების მუშაობა. ამ საწარმოთა კოლექტივები მოწყობილობის უკეთესად გამოყენებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და ხარისხის გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერებისა და საწარმოო კულტურის შემდგომი ამაღლებით განუხრელად ზრდიან საწარმოთა რენტაბელობას.

მიუხედავად ამისა, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოსაფხვრელად წელს მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება დაგვჭირდება. სამინისტროს ყველა საწარმო და ყველა დარგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გეგმას ყველა მაჩვენებლების მიხედვით. აბრეშუმის და სამკერვალო მრეწველობამ ვერ შეასრულა ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა, ფეხსაცმლის მრეწველობამ ვერ გაანაღდა პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების სახელმწიფო დავალება, აბრეშუმის მრეწველობამ სამშობლოს დააკლო პირველი ხარისხის წმინდა აბრეშუმის, მათ შორის კრეპის ჯგუფის ქსოვილები. თბილისის ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ, შემცირების ნაცვლად გაადიდა პროდუქციის თვითღირებულება.

მთელ რიგ საწარმოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ მახარაძის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის სტახანოველმა ციალა ღლონტმა შემოიღო შემჭიდროებული ბრიგადული წესით მუშაობა, მთელ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო ექვს დაზგაზე ერთდროულად მუშაობა, მიაღწია შრომის სარეკორდო ნაყოფიერებას. ც. ღლონტის ნოვატორულმა შრომამ მოძმე რესპუბლიკების საფეიქრო მრეწველობის მოწინავე ადამიანების ყურადღება მიიპყრო და ფართო გავრცელება პოვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ის მუშაობა, რაც სამინისტრომ გასწია მოწინავეთა გამოცდილების, კერძოდ ც. ღლონტისა და მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ოსტატის თანაშემწის ნ. ხარიტონაშვილის გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, სრულიად არ არის საკმარისი.

1952 წელს დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა წინაშე. მიმდინარე წლის გეგმაში უფრო ფართოდ, ვიდრე გასულ წელს, დასახულია მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი ამაღლების, ახალი მოწინავე ტექნიკის დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი სრულყოფის ამოცანები. საგრძნობლად დიდდება მაღალხარისხოვანი ქსოვილების, ფეხსაცმლის, სამკერვალო ნაწარმის, გალანტერიისა და სხვა საქონლის გამოშვება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ყველაზე დიდი ზრდა გათვალისწინებულია აბრეშუმის მრეწველობაში. შარშანდელთან შედარებით აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება წელს 3 მილიონი მეტრით უნდა გავადიდოთ. განსაკუთრებით გაფართოვდება ნატურალური აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვება. მაგალითად, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა წელს დაამზადებს კრეპის ჯგუფის 2,5 მილიონ მეტრ ძვირფას ქსოვილებს. ომამდელ 1940 წელს ამ ჯგუფის ქსოვილები გამოშვებულ იქნა მხოლოდ 400 ათასი მეტრი. აბრეშუმის მრეწველობა მოსახლეობას მიაწოდებს აგრეთვე მილიონობით მეტრ აბრეშუმის შტაპელის ტილოს. გასულ წელთან შედარებით შტაპელის ქსოვილების გამოშვება ოთხჯერ გადიდდება.

წელს საგრძნობლად განვითარდება რესპუბლიკის შალეულის მრეწველობა. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა და სხვა საწარმოები გააფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს, გააუმჯობესებენ ხარისხს, შტაპელის ბოჭკოს გამოყენებით დაამზადებენ ახალი ნიმუშის შალის ქსოვილებს. გამოშვებული იქნება ახალი სახის წმინდა მაუდის ქალის საპალტოე დრაფი, საკოსტუმე ტრიკო „გაზაფხული", შალის შტაპელის დრაფი და სხვ. შალეულის მრეწველობა შარშანდელზე 75 ათასი მეტრით მეტ ქსოვილსა და დრაფს დაამზადებს.

66 პროცენტით იზრდება ხალიჩების წარმოება. რესპუბლიკაში ერთადერთმა ცხაკაიას ხალიჩის საქსოვმა ფაბრიკამ წარმატებით აითვისა ფიანდაზების წარმოება. ფაბრიკა წელს პირველად გამოუშვებს 5.000 კვადრატულ მეტრ მხატვრულ ხალიჩებს.

მიმდინარე წელს სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობის წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა: მკვეთრად გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, აღმოფხვრას მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვება. წელს ფეხსაცმლის ფაბრიკები 45 პროცენტით გაადიდებენ სამოდელო ფეხსაცმლის გამოშვებას, საგრძნობლად გააფართოებენ ქალის დაბალქუსლიანი, აგრეთვე ბავშვის ფეხსაცმლის გამოშვებას.

წელს პროდუქციის ასორტიმენტს მნიშვნელოვნად გააფართოებს აგრეთვე ტყავის მრეწველობა. განსაკუთრებით გაიზრდება ლაქისა და ძვირფასი ფერადი საზედაპირე ტყავის გამოშვება. ტყავის ქარხნები შარშანდელთან შედარებით წელს 5 მილიონი კვადრატული დეციმეტრით მეტ ქრომის რბილ საზედაპირე და 163 ტონით მეტ საძირე ტყავს დაამზადებენ.

1952 წელი იქნება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი ტექნიკური პროგრესის წელი. ფაბრიკა-ქარხნები აღიჭურვებიან ახალი მაღალი წარმადობის მოწყობილობით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გავადიდოთ მრეწველობის ყველა დარგის საწარმოო სიმძლავრე.

გაჩაღებულია აგრეთვე ფართო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. 1952 წელს ამ მიზნით ასიგნებულია 7 მილიონ მანეთზე მეტი, თითქმის ორჯერ მეტი შარშანდელთან შედარებით. ახალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლები შენდება თბილისის მაუდკამვოლის, სამტრედიის, წულუკიძის და თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების, ცხაკაიას ხალიჩის საქსოვი ფაბრიკის, ბათუმის ტყავის ქარხნის, სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. მთლიანად წელს სამინისტროს ხაზით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 6.800 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები სტახანოვური თავდადებით შეუდგნენ 1952 წელს მათ წინაშე დასახული ამოცანის განხორციელებას, გააჩაღეს ბრძოლა ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვა საქონლის გამოშვების გასადიდებლად, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ სამუშაო ადგილზე დამატებითი შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებისათვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით. კუპავინოელი ფეიქრების, სტალინური პრემიის ლაურეატების მარია როჟნევას და ლიდია კონონენკოს ინიციატივით დაწყებულმა ამ პატრიოტულმა მოძრაობამ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშები ერთსულოვნად დარაზმა ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა: გეგმით გათვალისწინებული 89,3 პროცენტის ნაცვლად თებერვალში 95 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. ამჟამად ფაბრიკაში მთლიანად პირველი ხარისხის „მერინოს" ქსოვილს უშვებენ. ეს წარმატება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღებული ბრძოლის შედეგია. წლის დასაწყისში ფაბრიკის მოწინავე მრთველთა და მქსოველთა ჯგუფი ახალი პატრიოტული თაოსნობით გამოვიდა. მრთველთა ბრიგადირმა ა. ანდღულაძემ, მქსოველთა ბრიგადირმა ნ. ხარიტონაშვილმა, მევატერე ვ. ჯოხაძემ და მქსოველმა მ. კოლოდამ ფაბრიკის მუშებს მოწოდებით მიმართეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად.

წარმოების ნოვატორთა ამ შესანიშნავ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ ფაბრიკის მუშები. ყოველდღიურად იზრდება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამომშვებ მუშათა რიგები.

თბილისელი ნოვატორების ამ შესანიშნავ თაოსნობას ფართოდ უნდა გამოეხმაუროს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოს კოლექტივი.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის ძირითადი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ეს ამოცანებია: პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაფართოება, გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, გადაჭარბებით გაანაღდებენ 1952 წლის სახელმწიფო დავალებას.

**გ. როგაქიძე**

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი

# დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის წევრთა განცხადება

**პეკინი, 24 მარტი.** (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: პეკინში გაიმართა დარბაზობა რვა ქვეყნის იმ იურისტთა პატივსაცემად, რომლებმაც ამას წინათ მოიარეს კორეა როგორც დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრებმა, რათა გამოეკვლიათ ამერიკელ ინტერვენტთა დანაშაულობანი.

პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამართლის სრულიად ჩინეთის საზოგადოების სახელით კომისიის წევრებს მიესალმა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე შენ ძიუნ-ჟუ. შენ ძიუნ-ჟუმ მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედება საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის, და რწმენა გამოთქვა, რომ იურისტთა მოხსენება გამოკვლევის შედეგების შესახებ ხელს შეუწყობს ხალხთა დარაზმვას იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს საზარელ დანაშაულობას.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის თავმჯდომარემ ბრანდვაინერმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ჩვენ სპეციალურად ვმუშაობდით იმ ცნობების შესამოწმებლად, რომ ამერიკის ჯარები კორეაში ხმარობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ადასტურებენ, რომ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ბუზები და სხვა მწერები, რომლებიც მანამდე კორეაში უცნობი იყო, აღმოჩენილია ბევრ რაიონში ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს მწერები ჩამოყრილი იყო ჰაერიდან, სახელდობრ: ტემპერატურა, ნიადაგი, დაგროვება და სხვ.; მათი აღმოჩენა მას შემდეგ, რაც ამ რაიონებს თავს დასტრიალებდნენ თვითმფრინავები, და იმ ჭურჭლის ნაშთების არსებობა, რომლებშიც მწერები იმყოფებოდნენ. შევძრწუნდით იმ ფაქტებით, რომლებიც ჩვენ დავადგინეთ, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტები უდავოა.

როგორც საერთაშორისო სამართლის პროფესორმა, უნდა განვაცხადო, რომ ეს არის, ჩემი აზრით, აშკარა სამხედრო დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ბაქტერიოლოგიური ომი სრულიად აკრძალულია საერთაშორისო სამართლით — ჰააგის კონვენციები კრძალავენ მოშხამული იარაღის ხმარებას და ჟენევის 1925 წლის ოქმი სპეციალურად კრძალავს ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებას. როგორც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, აგრეთვე უნდა განვაცხადო, რომ მშვიდობის მომხრენი, რომლებიც მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის საერთო მისწრაფებას გამოხატავენ, გამოვიდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის მომხრედ. ეს აგრეთვე აღიარებულია როგორც დანაშაული ნიურნბერგისა და შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების მიერ და დადასტურებულია გენოციდის შესახებ 1948 წელს მიღებული კონვენციით.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოკვლევა იქნება წვლილი მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის გმირი კორეელი ხალხისა და დიდი ჩინელი ხალხის ბრძოლის საქმეში".

იტალიელმა იურისტმა კავალიერიმ განაცხადა შემდეგი:

„ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დანაშაულს, რაც კორეაში ჩაიდინა სამხედრო სარდლობამ, რომელიც პასუხისმგებელია საომარი ოპერაციების უშუალო წარმოებისათვის..., წარმოადგენს ბარბაროსი დამპყრობლების მიერ კორეაში მახრჩობელა და მომწამვლელი გაზების გამოყენება, რაც სპეციალურად აკრძალულია მორალით და საერთაშორისო სამართლით. ეს ფაქტები, რომლებიც დადგენილი და ობიექტურად დასაბუთებულია არა მარტო კორეის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, არამედ აგრეთვე მრავალი მოწმის მიერ, ამტკიცებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები, რომლებიც უუნარო აღმოჩნდნენ თავი გაერთმიათ ომისათვის ადამიანთა ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის დახმარებით, არ შეუყოყმანებულან, შესაძლებელია აგრეთვე გენოციდის მიზნით, კატეგორიულად აკრძალული იარაღი ეხმარათ".

ბრაზილიელმა იურისტმა დე-ბრიტომ განაცხადა:

„კორეაში ჩვენი იურიდიული გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა ის არის, რომ ამერიკის იმპერიალისტური აგრესია კორეელი ხალხის წინააღმდეგ მთელ აზიას საერთო აგრესიის საფრთხეს უქმნის... კორეის ტერიტორიაზე ისინი სჩადიან აგრესიას, რომელიც წარმოადგენს ტოტალურ ომს, რომელშიც გამოყენებულია ყველა მეთოდი — ყველაზე ბარბაროსული, ყველაზე მხეცური და დანაშაულებრივი მეთოდები ჰუმანური კონვენციების დარღვევით, საერთაშორისო სამართლის დარღვევით. ეს არის საზარელი ძარცვის ომი... ასეთია მეთოდები ატომური დიპლომატიისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს ეფარება. ამ მომენტში, რომელიც ესოდენ სერიოზულია კაცობრიობის სიცოცხლისა და მომავლისათვის, ჩვენ, დემოკრატი იურისტები, უნდა გავერთიანდეთ მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებთან მშვიდობის მიღწევისათვის ბრძოლაში".

ინგლისელმა იურისტმა გასტერმა განაცხადა: „მე კორეაში იმდენი საშინელება, ბარბაროსობა და მხეცობა ვნახე, რამდენიც მთელ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მაგრამ ნახვა ყველაფერი როდია. რადგან თუ მსოფლიოს ცივილიზებული ხალხები არ ამხედრდნენ და არ შეაჩერეს დამნაშავენი, საშინელება და მხეცობა გავრცელდება სხვა ქვეყნებში. ომი კორეაში შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი ნაწილია იმ მსოფლიო გეგმისა, რომლებიც საშიშმა გიჟებმა შეიმუშავეს".

კომისიის წევრმა საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟაკიემ განაცხადა: „ჩვენ გამოვკითხეთ მრავალ ადამიანს, რომლებიც მოწმენი იყვნენ ამერიკის ჯარების მიერ ოკუპაციის დაწყებიდან მათი უკანდახევის მომენტამდე ჩადენილი მხეცობისა; ეს მოწმენი გვიხატავდნენ ბევრი ქალის, ბავშვისა და მოხუცის მოკვლის საშინელ სურათებს; ისინი გვიამბობდნენ თავაწყვეტილი სადისტების მიერ გამოყენებულ საშინელ ტანჯვაზე.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბევრ ადგილას მოსახლეობის ნაწილს სისტემატურად სპობდნენ ამერიკის არმიის პასუხისმგებელი ოფიცრების ბრძანებით.

ყოველივე ეს, უეჭველია, წარმოადგენს ომის კანონთა და ჩვეულებათა დარღვევას, რომლებსაც ვერც ერთი ცივილიზებული ქვეყანა თავის შეურცხვენლად ვერ დაარღვევს. ეს დანაშაულობანი ისჯება ნიურნბერგის ტრიბუნალის სტატუტის მე-6 მუხლის მიხედვით, მათ წინააღმდეგ ამხედრდება მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანთა სინდისი. ეს ფაქტები, როცა საკმაოდ ცნობილი გახდება დასავლეთში, დიდ გულისწყრომას გამოიწვევს".

ბელგიელმა იურისტმა ქ-ნმა მორენსმა განაცხადა: „როგორც დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის სხვა წევრებმა, მეც ვნახე კორეაში მოსპობილი და დანგრეული ქალაქები და სოფლები. მე ვნახე სკოლების, მუზეუმების, საავადმყოფოების, ტაძრებისა და ძველი ძეგლების სისტემატური ნგრევის კვალი". დაახასიათა რა კორეელი ხალხის გმირული ღონისძიებანი თავისი სამშობლოს დაცვისა და ხალხის კულტურული განძეულობის საქმეში, ქ-ნმა მორენსმა გამოთქვა სრული რწმენა, რომ კორეელი ხალხი დაამარცხებს იმპერიალისტთა ჯარებს და მოიპოვებს გამარჯვებას მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ქ-ნმა ვასილკოვსკაიამ, რომელიც პოლონელი იურისტებისა და პოლონელი ქალების სახელით გამოვიდა, განაცხადა: „მსოფლიომ დიდი ხანია შეიტყო ამერიკელთა მიერ კორეაში ჩადენილი დანაშაულობანი. მაგრამ უკანასკნელ კვირეებში მოვიდა ახალი საზიზღარი დანაშაულის — კორეაში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ამბავი... ყველა ქვეყნის პროგრესული მეცნიერები იმისათვის შრომობენ, რომ კაცობრიობა იხსნან ინფექციურ დაავადებათა საშინელებისაგან, და ამ დარგში მათ დიდ წარმატებანი მოიპოვეს. ამავე დროს ამერიკის „მეცნიერება" იმაზე მუშაობს, რომ ინფექციურ დაავადებათა ბაქტერიების გავრცელებით კაცობრიობა შორს დააბრუნოს უკან. ამერიკელი აგრესორები არ ერიდებიან საზარელ დანაშაულობას, რამაც ჰიტლერელ ბოროტმოქმედთა მოქმედებასაც კი გადააჭარბა. პოლონელი იურისტები თავიანთ ხმას უერთებენ საპროტესტო ხმას ამ საშინელი დანაშაულის წინააღმდეგ, რაც მათ საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის დარღვევად მიაჩნიათ. ისინი ამ დანაშაულს თვლიან კაცობრიობის წინაშე დანაშაულად. კორეაში ყოფნის დროს ჩვენ შეგვძრწუნა ამერიკელთა დანაშაულობამ და განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების მასობრივმა მოსპობამ. მე მელაპარაკა ბევრი ქალი, რომელთა წინაშეც ამერიკელმა მკვლელებმა მხეცურად დაღუპეს მათი შვილები. მე მელაპარაკნენ ქალები, რომლებიც გაჭაღარავდნენ ამერიკელ დამნაშავეთა ძალადობით. მაგრამ ყველა ეს ქალი გველაპარაკებოდა არა მარტო თავის ტანჯვაზე, არამედ თავის მედგარ ბრძოლაზეც".

დასასრულ გამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი პროკურორის მოადგილე. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკის იმპერიალიზმმა ვერ მოახერხა ნგრევისა და მკვლელობის გზით მიეღწია თავისი მიზნისათვის — კორეის დაპყრობისათვის, მან მიმართა მომშხამველ გაზებსა და ბაქტერიებს, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი მაინც ვერ მოახერხებს კორეელი ხალხის დამორჩილებას. გენერალ კიმ ირ სენის გარშემო მჭიდროდ დარაზმულ კორეელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიპოვოს საბოლოო გამარჯვება.

კომისია გაემგზავრება ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში იმ დანაშაულობათა გამოსაკვლევად, რაც ამერიკელმა აგრესორებმა ჩაიდინეს ჩინელი ხალხის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შედეგად.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი, 24 მარტი.** (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს ჩვენი ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი, რომლებიც თავს ესხმოდნენ ვონსანისა და ნამფხოს რაიონებს.

## მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი, 25 მარტი.** (საკდესი). სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტის 24 მარტის ცნობაში ნათქვამია:

შტაბის ოფიცერთა დღევანდელ სხდომაზე, რომელზეც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავენ, ორივე მხარე კვლავ მსჯელობდა გადმოტვირთვის პუნქტების ზუსტი საზღვრების საკითხზე. კორეისა და ჩინეთის მხარე დაეთანხმა ამერიკელთა გადასინჯულ წინადადებას კომუნიკაციის იმ მთავარი ხაზების შესახებ, რომლებითაც ნეიტრალური ქვეყნების ინსპექტორთა ჯგუფები დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა კომისიის მთავარი ბინიდან ივლიან გადმოტვირთვის სხვადასხვა დაწესებული პუნქტისაკენ.

## ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეული კორეაში

**პეკინი, 24 მარტი.** (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან იუწყება:

21 მარტს დაწყებულ ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეულს ფართოდ აღნიშნავენ კორეაში. კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელობით ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაწესებულებებსა და სკოლებში, აგრეთვე სოფლებში ახალგაზრდობა აწყობს ლექციებსა და საუბრებს. კორეელი ახალგაზრდობის ფართო ფენები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ კიდევ უფრო აქტიური დახმარება გაუწიონ ფრონტს და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარონ ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას, რათა ჩაშალონ ბაქტერიოლოგიური ომის ამერიკელ დამნაშავეთა ზრახვები. ახალგაზრდათა ბევრი ბრიგადა საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრების პირველ რიგებშია. სასოფლო რაიონების ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს დაწყებულ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში.

## ამერიკელი აგრესორების საშინელ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ

**პეკინი, 24 მარტი.** (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ამ დღეებში ანდუნში — ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ერთ-ერთ რაიონში, სადაც ამერიკელებმა ბაქტერიებით დასნებოვნებული მწერები ჩამოყარეს, გაიმართა 30-ათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ.

მიტინგზე, რომელიც წინ უძღოდა დემონსტრაციას, ანდუნის მერმა ჩენ ბეი-ჩენმა და მშვიდობის დაცვისა და ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტის ანდუნის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ ში გუანმა სასტიკად დაგმეს ამერიკელი აგრესორები მათი საშინელი დანაშაულისათვის — ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებისათვის. ორატორებმა მოუწოდეს ქალაქის მთელ მოსახლეობას ენერგიულად იბრძოლოს ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედება ჩინელ ხალხს ვერ დააშინებს.

## მდგომარეობა ტუნისში

**პარიზი, 24 მარტი.** (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, გუშინ ქალაქ ტუნისში გაიმართა ტუნისელთა დემონსტრაცია, რომლებიც მოითხოვდნენ ტუნისისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭებას. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ხელმძღვანელთა პორტრეტები, რომლებიც საფრანგეთის ხელისუფლებმა რემადის ციხეში გაგზავნეს, და მღეროდნენ პატრიოტულ სიმღერებს.

# დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ დაიმონონ გერმანელი ხალხი

## ადნ-ის სააგენტო ამხელს ეგრეთწოდებული „საერთო ხელშეკრულების" კაბალური ხასიათის შესახებ

**ბერლინი, 25 მარტი.** (საკდესი). ადნ-ის სააგენტო ბონიდან გადმოგვცემს:

22 მარტს ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები „საერთო ხელშეკრულების" აღმაშფოთებელ დებულებათა შესახებ. იუნაიტედ პრესის სააგენტო დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ძირითადი ტექსტი ამ კაბალური ხელშეკრულებისა, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ სახელმწიფოთა ჯარების მიერ დასავლეთ გერმანიის 50 წლით ოკუპაციას, მიღებულ იქნა ადენაუერის მიერ გერმანელი ხალხის დაუკითხავად ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლეს კომისრებთან მისი პირველი შეხვედრის დროს. ამჟამად განიხილავენ უკვე „უმნიშვნელო საკითხებს", როგორიც არის მაგალითად, საკითხი ამერიკელი ჯარისკაცებისათვის პაპიროსის ულუფისა და საინტერვენციო ჯარების ჯარისკაცებისათვის ომნიბუსებით და რკინიგზებით სამგზავრო ბილეთების ღირებულების შესახებ. ამჟამად მოლაპარაკების მონაწილენი „გაძლიერებით" მუშაობენ იმაზე, რომ აღდგომისათვის დაამთავრონ „საერთო ხელშეკრულება" და დამატებითი შეთანხმებანი.

იუნაიტედ პრესი ამტკიცებს, რომ „საერთო ხელშეკრულებაში", შედის ხუთი ყონვენცია და, კერძოდ, საკუთრივ „საერთო ხელშეკრულება", ჯარების შესახებ შეთანხმება, საფინანსო შეთანხმება, დასავლეთ სახელმწიფოთა კანონებისა და ინტერესების შესახებ შეთანხმება და სამედიატორო ტრიბუნალის შესახებ შეთანხმება. ჯარების შესახებ შეთანხმების „ვრცელი ტექსტით" დასავლეთ გერმანიის ტერიტორია გადადის უცხოეთის ჯარების სრულ განკარგულებაში. ყველა აეროდრომი, ყაზარმა, მანევრების რაიონები დასავლეთ გერმანიაში დასავლეთ სახელმწიფოთა კონტროლს დაექვემდებარება.

საფინანსო შეთანხმება აწესებს დასავლეთ გერმანიის საფინანსო წვლილს. იუნაიტედ პრესის ცნობის თანახმად, დასავლეთის სახელმწიფოთა შეიარაღებაში წინასწარი წვლილის სახით დასავლეთმა გერმანიამ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს 2.679 მილიონი დოლარი. დოლარის ნორმალური საბირჟო კურსით ეს თანხა უდრის 11,25 მილიარდ მარკას, მაგრამ რადგან ეს კურსი მუდმივ მერყეობს, დასავლეთ გერმანიის „სამხედრო წვლილი" შეიძლება ყოველ დროს გადიდდეს მანიპულაციების გზით. ამ თანხაში არ შედის დასავლეთ გერმანიაში ამერიკის საომარი მზადების ფორპოსტად დასავლეთ ბერლინის გადაქცევის ხარჯები.

დასავლეთის სახელმწიფოთა კანონებისა და ინტერესების შესახებ შეთანხმებაში დაწესებულია, რომ ძალაში რჩება ყველა ხელშეკრულება, რომლებსაც დღემდე დასავლეთელმა მაოკუპირებელმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს დასავლეთ გერმანიის სახელით თუ მისი ცალკე ზონების სახელით.

შემდეგ ეს დამატებითი შეთანხმება აწესრიგებს საკითხს გერმანელ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა განთავისუფლებისა და ატლანტიკის კავშირის აგრესიული არმიის ხელმძღვანელ შტაბში მათი ჩარიცხვის შესახებ. დასავლეთ გერმანიის 3 წარმომადგენლისა და დასავლეთ სახელმწიფოთა 3 წარმომადგენლისაგან შემდგარმა კომიტეტმა უნდა გადასინჯოს 500 სამხედრო დამნაშავისათვის გამოტანილი განაჩენები და „ურჩიოს სასჯელის ვადის შემცირება თუ მათი პატიება".

სამედიატორო ტრიბუნალის შესახებ მეხუთე დამატებითი შეთანხმებაში დასავლეთი სახელმწიფოები თავიანთთვის უზრუნველყოფენ აბსოლუტურად გაბატონებულ მდგომარეობას გერმანიის ყველა საკითხის გადაჭრისას. მაგალითად, სამედიატორო ტრიბუნალში, რომელშიც უნდა შევიდეს 9 კაცი და რომელმაც უნდა გადაჭრას ყველა სადავო საკითხი, დასავლეთ გერმანიას მხოლოდ სამი ადგილი ექნება.

## მომავალი საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

**პარიზი, 24 მარტი.** (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ქარხანა „კაპლერი ფოსიენის" კომიტეტმა, რომელიც დირექციისა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შედგება, მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ „სპილენძის შემოტანის მკვეთრი შემცირება დამღუპველ გავლენას ახდენს საფრანგეთის ელექტრომრეწველობაზე"

„მდგომარეობა, მიუხედავად მთელი მისი სერიოზულობისა, შეიძლება გაუმჯობესდეს, — ნათქვამია რეზოლუციაში. — ამისათვის საჭიროა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება უკლებლივ ყველა ქვეყანასთან. კომიტეტის წევრები და თავმჯდომარე ერთსულოვნად გამოთქვამენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში, რომლის მიზანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის პირობების შესწავლა".

ქალაქ როშ-ლა-მოლიერის (ლუარის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მოითხოვს, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ „მიიღოს კანონი, რომელიც შექმნის ყველა ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის განახლების შესაძლებლობას".

## იაპონელი სამხედრო დამნაშავენი სარგებლობენ ამერიკის ხელისუფალთა მფარველობით

**შანხაი, 24 მარტი.** (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იოსიდას მთავრობა, რომელიც ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა კარნახით მოქმედებს, განაგრძობს სამხედრო დამნაშავეთა და იაპონიის იმპერიალისტური აგრესიის ხელისშემწყობთა აღდგენას უფლებებში.

როგორც იაპონიის პრესისა და რადიოს ცნობებიდან ჩანს, 8 თებერვლიდან 19 მარტამდე იაპონიაში პოლიტიკური უფლებები აღუდგინეს 3.469 კაცს, მათ შორის იაპონიის ყოფილი არმიის გენერლებისა და ადმირალების, აგრეთვე უმაღლესი მოხელეების დიდ ჯგუფს. მათ შორის არიან ფაშისტური ტიპის დამხმარე პოლიტიკური ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი სეიძო კობაიასი, ყოფილი ადმირალები იამამოტო და ინოუე, ყოფილი გენერლები სიოძირო იიდა და იოსიო კამიცუკი, კვანტუნის არმიის ყოფილი სარდალი გენერალი კენკიცი უედა, იაპონელთა ჩინეთის საექსპედიციო ჯარების ყოფილი სარდალი ძუძო ნისიო და სხვ.

24 მარტს იაპონიის მთავრობამ პოლიტიკური უფლებები აღუდგინა ყოფილ სამხედრო დამნაშავეთა და აგრესიის ხელისშემწყობთა ახალ ჯგუფს — 1.011 კაცს. აღდგენილთა შორის არის იაპონიის ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავე მამორუ სიგემიცუ, რომელიც მსჯავრდადებული იყო შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ.

## მშენებლობა მდინარე ხუაიხეზე

**პეკინი, 25 მარტი.** (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო" იუწყება, რომ მდინარე ხუაიხეზე მეორე რიგის საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობაზე დაიწყო გაზაფხულის სამუშაოები. სამუშაოთა ფრონტი ათას კილომეტრს აღემატება. მარტო ჩრდილოეთ ძიანსუს მაგისტრალური არხის მშენებლობაზე მუშაობს 800 ათასი გლეხი.

გაზაფხულზე უნდა დამთავრდეს ბაიშას, ბანძიაოს (ხენანის პროვინცია) და ფოძილინის (ჩრდილოეთ ანხუეი) წყალსაცავთა აგება და 10 კაშხალის მონტაჟი ხუაიხეს ზემო და ქვემო წელში.

## რეპრესიები გაფიცული შოფერების წინააღმდეგ ანკარაში

**სოფია, 25 მარტი.** (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, იმოწმებს რა გაზეთ „აქშამს", იუწყება, რომ მარშალიზებულ თურქეთში გაფიცვების აკრძალვის მიუხედავად, ქალაქ ანკარის შოფერთა გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 2 ათასზე მეტი კაცი. გაზეთი იუწყება, რომ გაფიცვის 100-მდე მონაწილე დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

## საომარი მოქმედება ვიეტნამში

**შანხაი, 24 მარტი.** (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ვიეტნამში წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა. მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ხოა-ბინის განთავისუფლების შემდეგ სახალხო არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს ხანოის სამხრეთით მდებარე ქალაქ ფუი-ლიზე, რომელიც ფრანგების ხელშია, გზა გადაუჭრეს მტრის კოლონებს ხაი-დუონგის, ხანგ-იენის, კიენ-ანისა და ტაი-ვინის პროვინციებში. ხაი-დუონგის პროვინციაში სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რაც 2 მარტს დამთავრდა, სახალხო არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის სამი იერიში, რომლებიც მან მოიტანა ადგილის დაზვერვის მიზნით, მოკლეს, დაჭრეს და ტყვედ იგდეს მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცი.

სახალხო ლაშქრის რაზმებმა გააძლიერეს აქტივობა მი-ტოსა და ტან-ანის პროვინციებში.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში

**ბუდაპეშტი, 24 მარტი.** (საკდესი). [illegible] მაროცის სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მიმდინარეობდა მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. თამაშის განუახლებლად დანებდა სილი (უნგრეთი) პილნიკს (არგენტინა). დიდი ოსტატობა გამოიჩინა ენდშპილში საბჭოთა გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელმაც 59-ე სვლაზე დაამარცხა გოლომბეკი (ინგლისი). ზუსტად გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა, რომელმაც მოუგო სილის (უნგრეთი). პოლონეთის ჩემპიონმა ოსტატმა სლივამ მოუგო უნგრელ გროსმაისტერ საბოს. ბენკომ (უნგრეთი) მოუგო პეტროსიანს. პლატც (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — ო'კელის (ბელგია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ გელერმა და შტალბერგმა მოაგროვეს ცხრა-ცხრა ქულა, კერესს აქვს 8,5 ქულა, ბოტვინიკს — 8 ქულა, სმისლოვსა და პილნიკს — შვიდ-შვიდი ქულა.

## სსრ კავშირის XIV პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის

24 მარტს გათამაშდა გადატოვებული და დაუმთავრებელი პარტიები.

ნ. ვოიცეკი გაუთამაშებლად დანებდა ო. რუბცოვას, ხოლო ვ. ბელოვა-ი. გურფინკელს. ყაიმზე შეთანხმდნენ: ლ. ვოლპერტი ნ. ვოიცეკთან, ო. იგნატიევა—ლ. კოგანთან.

ი. გურფინკელმა ბ. კრეზბერგთან თანაბარ პოზიციაში დაუშვა უხეში შეცდომა, წააგო ფიგურა და ბოლოს პარტიაც. ო. რუბცოვამ ზუსტი თამაშით გამარჯვებას მიაღწია ბ. კრეზბერგთან, ხოლო ლ. რუდენკო და ს. როოტარე ყაიმზე შეთანხმდნენ. ე. ბიკოვა — ო. იგნატიევას პარტია არ დამთავრებულა და კვლავ გადაიდო.

## ორი ქალაქის კალათბურთელთა ამხანაგური შეჯიბრება

21-23 მარტს თბილისში ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა თბილისისა და ბაქოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

შეჯიბრებაში კარგი სპორტული წვრთნა და თამაშის მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს თბილისელმა კალათბურთელებმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა გამარჯვებით დაავირგვინეს.

## სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი 26 მარტისათვის თბილისში იწვევს სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციას, რომელიც გაიხსნება ინსტიტუტის შენობაში (ჯავახიშვილის ქ. № 1) საღამოს 7 საათზე. კონფერენციას ექნება სამი პლენარული სხდომა — 26 მარტს საღამოს, 27 მარტს დილით და 29 მარტს საღამოს. დანარჩენ დროს მოეწყობა კონფერენციის სექციათა სხდომები.

კონფერენციაზე იმუშავებენ პედაგოგიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის და ქიმიის მეთოდიკის სექციები.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — მთლიანად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

საერთო სათაურით „პირველი მაისის ზეიმის შესახვედრად" წერილები: ნ. ნოვიცკი — სამგორის პირველი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების წინ. გორელების მიმართვის საპასუხოდ. რვა ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

საბჭოთა კავშირში. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ა. დარსაველიძე — თბილისის კიროვის რაიონის პარტიული ორგანიზაცია.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ს. გალანდიანი — ტექნიკური კონტროლიორები. პ. გელაშვილი — სოფლის მექანიზატორების სკოლა მივიწყებულია. ი. შელოვიცკი — არაკეთილსინდისიერი შრომის ნაყოფი.

ი. კეკელიძე — ქართული ფეროშენადნობები.

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები. ყიზლარის საძოვრებზე.

პ. ხუჭუა — ლ. ბეთჰოვენი (გარდაცვალებიდან 125 წლის თავის გამო).

დავიხსნათ კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებისაგან.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# ინგლისში პროტესტს აცხადებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ

**ლონდონი, 24 მარტი.** (საკდესი). ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭო თავის ხმას უერთებს საბჭოთა ხალხისა და ინგლისელი ხალხის სულ უფრო მზარდ პროტესტს კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, რის შესახებაც გამოცდილ იურისტთა საერთაშორისო კომისიამ გამოკვლევა მოახდინა კორეაში და უკვე გამოაქვეყნა საშინელების გამომწვევი განცხადება.

ეროვნული საბჭო მოაგონებს შემდეგ ფაქტებს:

1. ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონიის გარდა, ერთადერთი დიდი სახელმწიფოა, რომელმაც უარი თქვა დაემტკიცებინა ჟენევის 1925 წლის ოქმი ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ. ეს ოქმი დამტკიცებულია ინგლისისა და სსრ კავშირის მიერ.

2. ტრუმენმა განზრახ გაიტანა სენატიდან ჟენევის ოქმი და მასთან ერთად მთელი რიგი სხვა დაუმტკიცებელი ხელშეკრულებანი.

3. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს გაეცათ როგორც სამხედრო დამნაშავენი მაღალი თანამდებობის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები, რომლებსაც ხაბაროვსკის პროცესზე 1949 წლის დეკემბერში ბრალად ედებოდათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და ხმარება.

4. პროფესორ ტეოდორ როზებურგის წიგნი „მშვიდობა თუ შავი ჭირი", რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა, ცხადყოფს, რომ ამერიკის ხელისუფალნი ექსპერიმენტებს ეწეოდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღით, დაწყებული 1941-1942 წლიდან.

5. ამერიკულ პრესაში 1945 წლიდან არაერთგზის დაბეჭდილა მკვეხარა განცხადებანი ბაქტერიოლოგიური ომისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მზადების შესახებ".

## ეგვიპტის პარლამენტის დათხოვნა

**ბეირუთი, 24 მარტი.** (საკდესი). როგორც დამასკოს და კვიპროსის რადიო იუწყება, ეგვიპტის მეფემ ფარუკმა ხელი მოაწერა დეკრეტს 24 მარტიდან ეგვიპტის პარლამენტის დათხოვნის შესახებ. პარლამენტის ახალი არჩევნები დანიშნულია 18 მაისს. მეფის დეკრეტი ეგვიპტის სენატს არ შეეხება, რადგან, კონსტიტუციის თანახმად, მეფეს არა აქვს სენატის დათხოვნის უფლება.

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**27 მარტს**

6.25 — უვერტიურები. 7.30 — „პიონერთა დაფიონი". 11.10 — კონცერტი ტ. მაჩაბლის და ივ. ჯავახიშვილის შესრულებით. 17.15 — კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — საბალეტო მუსიკა. 19.15 — გასანოვის საფორტეპიანო კონცერტი. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.00 — სმეტანას ოპერა: „ლიბუშე." პირველ ანტრაქტში გადაცემა ციკლიდან: „წარმოების ნოვატორები ზ. კვახაძე და ვ. ჯოხაძე". მეორე ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა. 00.05 — ქართული ხალხური სიმღერები.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (დილით), ტოსკა (საღამოს, ყველა აბ); **რუსთაველის სახელობის** — დარისპანის გასაჭირი, ბანქოს მოთამაშენი, შუშლილის წერილები; **მარჯანიშვილის სახელობის** — ხარატაანთ კერა (დილით), ლამაზი მამაკაცი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (დილით), იმათ მხარეში (საღამოს 56-57 აბ.); **სომხური დრამის** — სოსი და ვარდითერი; **მუსიკალური კომედიის**—ტრემბიტა (პრემიერა); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—კიკვიძე (50-ე აბ. 11 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — დუბროვსკი (11 და 4 ს.).

ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები დაიწყება ა. წ. 20 მაისიდან. გამოცდებზე ექსტერნად დაშვების საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია. გამოცდებზე დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელნიც არ სწავლობენ საშუალო სკოლაში (ტექნიკუმში) ან არ დაუმთავრებიათ და საპატიო მიზეზით სკოლიდან გასული არიან ერთი და მეტი წლის წინათ. ექსტერნები სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სუხუმსა და სტალინირში იმ საშუალო სკოლებში, რომლებსაც მიუთითებს მათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არაუგვიანეს 10 აპრილისა. განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ, ცნობა განათლების განყოფილებიდან ან სამსახურის ადგილიდან იმის შესახებ, რომ განმცხადებელი ერთ წელზე მეტია, რაც საპატიო მიზეზის გამო გასულია სკოლიდან, და ორი ფოტოსურათი.

სიდედრი ანა, ცოლისდა ნინო ჰიჰინაძე, ცოლისძმები გარლამ, შალვა, გრიშა შენგელიები ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე ცხაკაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, 5 ს. ა. წერეთლის, 3/5.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორთა სამეცნიერო საბჭო, დირექცია, პარტბიურო და პროფორგანიზაცია იუწყებიან ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის კათედრის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის პროფესორ **მიხეილ ივანეს-ძე ცხაკაიას** გარდაცვალებას.

შვილები ნადია, ოლია, გუცა, ციალა, სიძეები ლ. ჯალაღანია, დ. გოგლიჩიძე იუწყებიან **შალვა ილარიონის-ძე თენეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, 6 ს. ქუთაისში. გამოსვენება მიასნიკოვის, 13.

დეიდები ანა ნათაძე, სიდო ნადირაძე, ბიძები ლადო, გიგლო ხელაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ვახტანგ იროდიონის-ძე რცხილაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილი თამარ და შვილიშვილები იუწყებიან **იოსებ ერმალოზის-ძე ედილაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, სოფ. ბრეთში (ქარელის რ.).

მეუღლე ამბერკი მაღლაკელიძე, შვილები ელენე, ჟენია, მარგარიტა, გოგუცა, სიძეები ა. გაჩეჩილაძე, კ. უფლისაშვილი, კ. დავითაია შვილებით იუწყებიან **ნინო ბესარიონის ასულ მახათაძე-მაღლაკელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III, სოფ. სანახშირეში (ზესტაფონის რ.).

მშობლები გოგუცა, არჩილ, ძმა ჯემალ, ბებია ლიზა, ბიძა ბორის გველესიანები, გალინა, მიხეილ ფანჩულიძეები ოჯახით იუწყებიან **ამირან არჩილის-ძე გველესიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, სოფ. ქვედასაქარაში (ზესტაფონის რ.).

შვილები ალექსანდრე, ბაბულია, ნიკოლოზ, შალვა, რძლები სოფიო, კატუშა, თამარ და შვილიშვილები იუწყებიან **მარიამ დიმიტრის ასულ სამადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 6 ს. გუნიას, 12.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **სიმონ გიგოს-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას.

მეუღლე გიორგი, შვილები ვალოდია, კლარა, იზოლდა, ძმები ტარასი, ნიკოლოზ, ძმისწული ალექსანდრე, რძლები მარო, თამარ, ნადია, აგრაფინა იუწყებიან **ბაბილინა ბახვას ასულ ჩოჩია-ქალიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, ხაშურში. გამოსვენება მოლოტოვის, 6.

თბილისის ვაჟთა 43-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება **ალექსი მანჯგალაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00262